პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმომწერის ფასი: თვე-მოსამსახ. 75 კ., დაწესებულებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 6—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

შაბათი, 23 მაისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 116 (1271)

...ს. ს. კომისარიატა საბჭ. სხინთორმ...ო-განყოფილების ბიბლიოთეკა

დღიური

— მაროკკოში აჯანყებულებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის გააფთრებული ბრძოლაა.

— მუსოლინი პალატაში დაიცავს მეგობრულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან.

— გლეხკორ კურიკის მკვლელებს მიუსაჯეს დახვრეტა.

ჩვენი სოფლის ჭირ-ვარამი

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ამხ. სოსნოვსკის წერილს „პარტიის პრესტიჟისა და რევოლიუციონური კანონიერების შესახებ". და ეს იმიტომ, რომ ისეთ ფაქტებს და მოვლენებს, რომელნიც მოთხრობილია ამ წერილში, ამა თუ იმ სახით, უეჭველია, აქა-იქ ჩვენშიც აქვს ადგილი, განსაკუთრებით სოფლად.

საქმე ეხება ჩვენი სინამდვილის მტკივნეულ მხარეებს, თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებებს, რევოლიუციონურ კანონიერებას, პატიოსან მუშაკების შერჩევას.

წერილის შინაარსს აქ არ მოვიყვანთ,—მას თვით მკითხველი გაეცნობა უშუალოდ. ჩვენ გვინდა მხოლოდ, ამხ. სოსნოვსკის მასალასთან დაკავშირებით, გამოვსთქვათ ზოგიერთი მოსაზრება, თუ რა გზით შეგვიძლია საბჭოთა კანონიერების განმტკიცება.

საგულისხმოა, რომ, ამხ. სოსნოვსკის გადმოცემით, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩენილა მილიციის ბოროტმოქმედებანი, რომელთაც ეპიდემიური და მასიური ხასიათი ჰქონდათ მიღებული. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ეს გამოპარვიათ მხედველობიდან. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში პასუხი უნდა აგონ არა მარტო უშუალოდ ბოროტმოქმედმა პირებმა, არამედ საერთოდ იმ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებმა, რომელთა რაიონში ხდება ბოროტმოქმედებანი. საჭიროა ჩვენს პირობებში მაზრის ორგანიზაციებმა გააძლიერონ კონტროლი თემების და სოფლების თანამდებობის პირთა მოქმედებაზე.

ბოროტმოქმედება აღმოაჩინა პროკურორმა. და აქ ირკვევა საყურადღებო გარემოება: პროკურორს, რომელიც ებრძვის დამნაშავე პირებს, დევნიან, ყოველნაირად ცდილობენ მის გაშავებას და მოშორებას, არა იშვიათად მიზანსაც აღწევენ.

პროკურატურის როლი რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცების საქმეში მეტად დიდია. ეს აღნიშნული იყო ამხ. ლენინის ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ წერილში, ამაზე ჩვენ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი. საჭიროა პროკურატურამ გააძლიეროს ამ მხრივ მუშაობა. ამასთან საჭიროა საპროკურორო შემადგენლობის შერჩევა, რათა იგი პიონათლად და უშიშრად ასრულებდეს თავის მოვალეობას.

ამხ. სოსნოვსკის მიერ გამოქვეყნებულ ფაქტებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, თუ როგორ ემზადებიან ადგილობრივი ორგანოები რევიზიის მოლოდინში. ყოველგვარი ზომები იყო მიღებული, რომ სარევიზიო კომისია გაესულელებიათ, დაებრმავებიათ, შავი თეთრად მოეჩვენებიათ. აქ პირდაპირ ცოცხლდება გოგოლის „რევიზორი"-ს სცენები.

ჩვენ ხშირად ვგზავნით პროვინციაში სხვა და სხვა კომისიებს ადგილობრივი მდგომარეობის გამოსარკვევად. მათ უ და გამოიჩინონ საჭირო გამჭრიახობა, რომ ჩასწვდენ ადგილობრივი ცხოვრების ყველა ბნელ კუნჭულებს.

კომისიამ მაინც აღმოაჩინა აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედებანი. მაგრამ დამნაშავე პირები სასამართლოს კი არ გადასცა,—საქმე, ასე ვსთქვათ, შინაურულად იქნა მოგვარებული. ბოროტმოქმედნი დაითხოვეს, მათ მისცეს „დასვენების საშუალება". ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა, დანაშაულია. სულგრძელობა ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არის ერთი მეტად ყალბი შეხედულება, რომ პარტიულების ბოროტმოქმედებათა საჯაროდ გამოაშკარავება, თითქო სახელს უტეხდეს მთელ პარტიას. ნამდვილად კი ხდება პირიქით: სწორედ ასეთების გადამალვა სცემს პარტიის პრესტიჟს ხალხის თვალში. პარტიის წევრები, რომელნიც ბოროტმოქმედებას ჩაიდენენ, სასტიკად და საჯაროდ უნდა იქნან, გასამართლებული.

ბოლოს გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას: მოსამსახურეებს ბოროტმოქმედებისათვის მოხსნიან ერთი დაწესებულებიდან, გაიხედავ და მათ ხშირად დაინახავ სხვა თანამდებობაზე, ხანდახან უფრო საპასუხისმგებლო ადგილზე წამოსკუპებულთ, როგორც ამას ვხედავთ ამხ. სოსნოვსკის მიერ მოყვანილ მაგალითში. ამას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

საერთოდ უნდა ავღნიშნოთ, რომ ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრა, რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცება—ეს ჩვენი ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია ამ ჟამად. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი მუშაობა.

ჩვენი ეკონომიური ამოცანები

მეურნეობის სხვადასხვა დარგების დახასიათება*)

ლ.

საქართველოსთვის დღევანდელ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ტყავეულობის დამზადებას და იაფფასიან ფეხსაცმელის შეკერვის საქმის განვითარებას. ამ დარგსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, და ხელისუფლება შესძლებს ამ საქმის რიგიანად მოგვარებას, თუ მეურნეობაში მისი მუშაობის ასპარეზი რაციონალად იქნება შეზღუდული.

მ.

1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერით, რომელიც ეხება მხოლოდ 1.347 სოფელს და ამათ შორის უფრო დაწვრილებით 763 სოფელს, გამოკვლეულ სოფლებში **შინამრეწველობათა** ყოველწლიური პროდუქციის ღირებულება დაახლოებითი გამოანგარიშებით აღემატება 7,6 მილ. მანეთს, ამ ანგარიშში არ შედის პროდუქცია მთელი ჩვენი შინამრეწველობის; რადგან მრავალი სოფელი ამ მხრით სრულიად გამოურკვეველია. მხოლოდ რვა დარგი შინამრეწველობისა გამოკვლეულ სოფლებში შემდეგ საინტერესო სურათს გვაძლევს:

დ ა რ გ ე ბ ი	შინამრეწველობაში ჩაბმული მოსახლეობა		ნაწარმოების დაახლოვებითი ღირებულება მანეთებით.	თითო შინამრეწველს ერგება წლიურად მანეთებ.
	კომლი	მუშა ხელი		
მატყლეულობის ქსოვა .	27.764	50.000	3.000.000	60
აბრეშუმეულ. ქსოვა .	5.388	6.000	1.080.000	180
ხალიჩების „ .	3.384	6.000	288.000	46
ქუდის კეთება . . .	1.765	3.000	960.000	320
კალათების წვნა . .	3.122	6.000	120.000	20
ქაშანურის ჭურჭელი .	1.403	2.800	280.000	100
ხის დამუშავება . .	2.904	6.000	1.800.000	300
ცოცხის კეთება. . .	3.363	6.000	90.000	15
	49.003	85.800	7.618.000	

ეს ცხრილი მთავრობის მოხსენებებში არის მოთავსებული და ის გვითვალისწინებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენს ცხოვრებაში შინამრეწველობა და ეს ცნობები ეხება კი მხოლოდ ნაწილს. „შინამრეწველობის განვითარებას,—ამბობს ა. გეგეჭკორის მოხსენება,—ხელს უწყობს ჩვენში ნედლი მასალის სიმრავლე, როგორც, მაგ., მატყლი, აბრეშუმი, ტყავეულობა, ხე-ტყე, სამღებრო მცენარეულობა, თიხა, რქა, გიშერი და სხვა".

ჩვენში ფაბრიკა-ქარხნებს ჯერ ფეხი არ მოუდგამს და კიდევ დიდი ხანი შეიძლება ჩვენი ქვეყანა ამ მხრით ჩამორჩენილი დარჩეს. ამავე დროს მთიულები ჩვენი ბუნების პირობებში მრავალ თვეობით თითქმის სრულიად უსაქმოდ მომწყვდეულნი არიან მთებში; სხვაგანაც ზამთრობით კი არა ზაფხულშიაც უმრავლესობა დედაკაცებისა უსაქმოდ არიან. ასეთ მდგომარეობაში არის საქართველოში მრავალი ასი ათასი მუშა ხელი. დღევანდელ პირობებში მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ შინამრეწველობის განვითარების საშუალებით. ადამიანის ძალა, რომელიც დღეს უნაყოფოდ იკარგება, გარდაიქმნის იმ ენერგიათ, რომელიც გახდება ჩვენი ხალხის კეთილდღეობის წყაროდ.

ამ მხრით კეთდება ცოტა რამ და არის განზრახული გაუწიოს მთავრობამ შინამრეწველებს დახმარება, მაგრამ საჭიროა უფრო ენერგიული მოღვაწეობა, გააკეცებული დახმარება-ხელმძღვანელობა, რომ ძველმა შინამრეწველმა გააფართოვოს თავისი მუშაობა და დღეს უმოქმედოთ მყოფი მუშა-ხელი თავის სახლში ან მეზობელთან ერთად ჩაება შინამრეწველობაში და შექმნას ახალი ღირებულება, რომელიც დღეს აკლია საქართველოს.

ასეთია ჩვენი ხალხური მეურნეობის მდგომარეობა. აქ, რასაკვირველია, ჩვენ მოკლედ შევეხეთ და დავახასიათეთ ეს რთული, ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, მხოლოდ ზერელედ შესწავლილი დარგები, მაგრამ ის ცნობებიც, რომელნიც ჩვენ აქ მოვიყვანეთ, საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენი ეკონომიური ამოცანების ზოგიერთი დებულებები მტკიცედ დავაყენოთ და არსებითად გავსცეთ პასუხი შემდეგ სამ კითხვაზე. აი ეს კითხვები: ხალხის მეურნეობის ძირითადი დარგების გასაჯანსაღებლად რა და როგორ უნდა გაკეთდეს, რომ ამ დარგებში წარმოება, ვაჭრობა და კრედიტი ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს, ე. ი. რაა საჭირო იმისათვის, რომ შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც „ძლიერდება მრეწველობის გასაუმჯობესებლად საჭირო სოციალური და ფიზიკური შესაძლებლობა და აგრეთვე მრეწველობას უშუალოდ უბრუნდება ფული ან საქონელი (ან ორივე) ისეთ პირობებში და იმ რაოდენობით, რომ მან შესძლოს თავისი მდგომარეობის განმტკიცება და მუშაობის გაფართოვება" (იხ. ჩემი პირველი წერილები). თუ ვაჭრობა ნორმალურ პირობებში არ სწარმოებს, თუ ნაწარმის გაყიდვა ისეთნაირად ხდება, რომ მეურნეს უბრუნდება იმდენი ფული, რომელიც გაყიდულ საქონლის ღირებულებას არ ფარავს, თუ აღებული ფასი ნაკლებია მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასზე, მაშინ, რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობაში მყოფი მრეწველობა არამც თუ ვერ განვითარდება, ის აუცილებლივ თანდათან დაქვეითდება და დაიშლება.

ჩვენი ხალხის მეურნეობის ძირითადი დარგები, როგორც მათი მოკლე დახასიათებიდან დავინახეთ, კრიზისს განიცდიან და ამ კრიზისიდან ეს დარგები თავს ვერ იხსნიან, თუ ჩვენმა ეკონომიურმა ამოცანამ წარმოების, ვაჭრობის და კრედიტის შესახებ არ მიიღო ისეთი პასუხი რომელიც სრულ ანგარიშს უწევს არსებულ რეალურ პირობებს.

დ. თოფურიძე.

შენიშვნა 1. პირველი წერილი (№ 92). მესამე სვეტში ზევიდან მეცამეტე სტრიქონში დაბეჭდილია დაკავშირებული ქარხნები, სადაც მზადდებოდა; უნდა იყოს: დაკავშირებული ქარხნები, **ქარხნები**, სადაც მზადდებოდა..." იმავე სვეტში უკანასკნელ სტრიქონში სიტყვა „დარგების" წინ გამოტოვებულია: „სახალხო მეურნეობის ძირითად".

2. წერილი მეორე (№ 96). მეოთხე სვეტში ზევიდან მეცამეტე სტრიქონში დაბეჭდილია: „5,79", უნდა იყოს: „95,75". იმავე სვეტში ქვევიდან მერვე სტრიქონში დაბეჭდილია: „საკვირველია", უნდა იყოს: „რასაკვირველია". მეხუთე სვეტში ზევიდან მეთოთხმეტე სტრიქონში „სიტყვა „შემოსავალი"-ს შემდეგ გამოტოვებულია სიტყვა „მეტად".

დ. თ.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 106.

წითელი არმიის მდგომარეობა

ამხ. ფრუნზეს მოხსენება საბჭოთა საკავშირო მესამე ყრილობაზე

მეტი ყურადღება თავდაცვის საქმეს

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ყრილობამ უკანასკნელათ მოისმინა მოხსენება წითელი არმიის შესახებ. ამ დროის განმავლობაში მის ცხოვრებაში, ორგანიზაციაში, ჯარების აღზრდის მეთოდებში და მატერიალური ყოფა-ცხოვრების პირობებში მთელი რიგი ღრმა ცვლილებები მოხდა. საკმარისია მოვიგონოთ ის, რომ ამ დროის განმავლობაში ხუთმილიონიანი არმიის მაგივრათ, რომელიც გვყავდა სამოქალაქო ომის დროს, ჩვენ გადავედით მშვიდობიანი დროის საკადრო არმიაზე, რომლის შემადგენლობა უდრის 562.000 კაცს.

თქვენ მოისმინეთ რიკოვის მოხსენება, გაეცანით ჩვენი საერთაშორისო ცხოვრების ძირითად ფაქტებს, მათ დახასიათებას და იმ დასკვნას, რომელიც იქიდან გამოიყვანა რიკოვმა. ეს დასკვნა შეიცავდა იმას, რომ ჩვენ ეხლა თავდაცვის საქმეს გაცილებით უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვიდრე ეს აქამდი იყო. ამ დასკვნას მე უერთდები მთლიანათ და სავსებით.

საერთაშორისო ბურჟუაზია ემზადება ომისათვის

მართლაც და: თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის და, კერძოთ, ჩვენი კავშირის მდგომარეობის მიუდგომელი ანალიზი გვაიძულებს ჩვენ მეტათ ფრთხილათ მოვეპყრათ საერთაშორისო ცხოვრების იმ ფაქტების აღნუსხვას, რომელთაც ადგილი აქვთ უკანასკნელი თვეების განმავლობაში. მე ეხლა არ შევჩერდები იმ ფაქტებზე, რომლებსაც თქვენ უკვე იცნობთ,—ფაქტებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბალტიის ქვეყნების კონფერენციასთან ჰელსინგფორსში, იმავე ქვეყნების გენერალურ შტაბების კონფერენციასთან რიგაში, მცირე ანტანტის კონფერენციასთან ბუქარესტში და სხვა, და აგრეთვე იმ საშინელი ცილისწამების კამპანიაზე, რომელსაც აწარმოებს ბურჟუაზიული პრესა საბჭოთა კავშირის და კომინტერნის წინაამდეგ.

ფაქტების ენა

მე მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი ფაქტები დღითი დღე მრავლდება. აი ჩემს ხელშია ზოგიერთი ფაქტების ნუსხა, რომელიც მე შევადგინე უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში. ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, რომ რუმინეთი ადიდებს თავის არმიას 25 პროცენტით 13 წლის სათადარიგო ნაწილების ჯარში გაწვევის საშუალებით. ჩვენ ვხედავთ, რომ იმავე დროს რუმინეთმა პოლონეთში შეისყიდა 40.000 რუსული თოფი და 42 მილიონი ვაზნა და მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკასთან კიდევ 20 მილიონ ვაზნის შესყიდვის შესახებ.

პოლონეთმა ამ დღეებში მანტეიდელ-ლაფოარის ქარხანას შეუკვეთა სამი ნაღმოსანი და ექვსი წყალქვეშა ნავი. ლატვიამ შეუკვეთა ორი ნაღმოსანი და სამი წყალქვეშა ნავი. პატარა ესტონეთიც კი ეხლა გაძლიერებით იარაღს ისხამს და, გაზეთების ცნობებით, დიდი ბრიტანეთისაგან ამ მიზნით იღებს 10 მილიონ მანეთის კრედიტს.

სხვათა შორის, ამხანაგებო, თქვენ ამ დღეებში გაზეთებში წაიკითხავდით, რომ ესტონეთის მთავრობა თითქოს დიდ ბრიტანეთს უთმობს კუნძულ ეზელს და დაგეს. არ ვიცი, რამდენათ მართალია ეს ცნობა. ყოველ შემთხვევაში, ეს შესაძლებელია. თუ მართლა ინგლისის ფლოტი გამაგრდა კუნძულ ეზელზე და დაგეზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის დრედნოუტებს შეუძლიათ 24 საათის განმავლობაში გაჩნდენ კრონშტადტის ანდა ლენინგრადის კედლებთან, საჰაერო ფლოტი კი საათნახევარის განმავლობაში გადაიფრენს ჩვენი ლენინგრადის ფაბრიკებზე და ქარხნებზე. თქვენთვის გასაგებია, რომ ჩვენ ამას გულგრილათ ვერ დაუწყებთ ყურებას. რითი ამართლებენ ჩვენი მეზობლები ამ შეიარაღებას? ისინი ემყარებიან იმას, რომ საბჭოთა კავშირი ვითომ აძლიერებს თავის შეიარაღებას და ამას გარდა მათ საბუთათ მოჰყავთ ის, თითქოს მათ ემუქრება წითელი იმპერიალიზმი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენს სიმართლეში.

ჩვენ მზათ ვართ ყველა სადაო საკითხების გადაწყვეტა მივანდოთ ისტორიის მშვიდობიან მსვლელობას. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ იმ ბრძოლა'ში, რომელიც სწარმოებს ერთის მხრივ საბჭოთა საზოგადოებრივობის და სოციალიზმის სისტემასა და მეორეს მხრივ ბურჟუაზიულ პარლამენტარული სისტემის შორის, გამარჯვება უეჭველათ ჩვენს მხარეზე იქნება.

ამიტომ ჩვენ მზათ ვართ უარი ვსთქვათ იარაღის არგუმენტაციაზე, რაც დავამტკიცეთ კიდეც მთელი რიგი ჩვენი პოლიტიკური გამოსვლებით. ამას ადგილი ჰქონდა ჰაგაში, გენუაში და, ბოლოს, მოსკოვში, სადაც ჩვენი წინადადებები განიარაღების შესახებ ჩაშლილი იქნა სწორეთ პოლონეთის მიერ.

საკმარისია რომელიმე ჩვენმა ამხანაგმა აღნიშნოს საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმისათვის მეტი ყურადღების მიქცევის აუცილებლობა, რომ იმ წამსვე უცხოეთის პრესაში დაიბეჭდება მთელი რიგი წერილები, რომლებშიაც აღნიშნული იქნება ომისათვის მზადება საბჭოთა კავშირის მხრიდან. თუ ომისაკენ მისწრაფებას ვერსად გამოძებნიან, მაშინ მიმართავენ შენიშვნას, რომ მშვიდობიანი ტონი სპეციალურათ იმისთვის არის აღებული, რომ დაფარონ მისწრაფება ომისაკენ და ასე დაუსრულებლივ. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ძნელია დავარწმუნოთ უცხო სახელმწიფოები ჩვენს მშვიდობიან განზრახვებში.

ჩვენ გვაქვს ცნობები იმ შეიარაღებული ძალების რაოდენობის შესახებ, რომლებიც ჰყავს ამა თუ იმ სახელმწიფოს. ამ ცნობების შედარება ჩვენი კავშირის შეიარაღებული ძალების რაოდენობასთან ნათლათ ამტკიცებს, თუ სად უნდა ვეძიოთ მილიტარიზმის ნამდვილი მოციქულნი.

საერთაშორისო კაპიტალი იარაღდება.

1913 წელში—ომის წინა ხანების მილიტარიზმის გაფურჩქვნის მომენტში, მსოფლიოს მთავარ ქვეყნებში იარაღის ქვეშ იდგა 5.789.000 კაცი. 1925 წელში კი იარაღის ქვეშ სდგას 5.232.000 კაცი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მთელ რიგ ახლათ აღმოცენებულ სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებს. თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმას,რომ 5759.000 შედიოდა 1.129.000 ჯარისკაცი, რომლებიც ეკუთვნოდა იმპერიალისტურ ომში დამარცხებულ სახელმწიფოებს, რომელთაც ეხლა 198.000 ჯარისკაცი ჰყავთ და ძველი მეფური რუსეთის 1.350.000 ჯარისკაცი, რომელთა მაგივრათ ჩვენ საბჭოთა კავშირში გვყავს მხოლოდ 552.000 კაცი, მაშინ დავინახავთ, რომ გამარჯვებულმა ნეიტრალურმა ქვეყნებმა, გერმანიის იმპერიალიზმის დამარცხების შემდეგ, ახალ წინაამდეგობათა გაძლიერების გამო თავისი არმიები გაადიდეს 1.183.000 კაცით.

თუ ჩვენ ავიღებთ მთავარი სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტს, აქაც ასეთივე სურათს დავინახავთ.

ამასვე აღნიშნავენ ცნობები საჰაერო ფლოტის შესახებ. ამჟამათ მთავარი სახელმწიფოების სამხედრო-საჰაერო ძალების მდგომარეობა ასეთია: საფრანგეთი—6.114 თვითმფრინავი, ინგლისი—3.450, იტალია—1.700, ამერიკა—3.800, პოლონეთი—498, რუმინეთი—257; ჩვენი საჰაერო ფლოტის რიცხვის შესახებ მე არაფერს არ ვიტყვი, მაგრამ აღვნიშნავ, რომ იგი, სამწუხაროთ, ძალიან ცოტათი განსხვავდება ჩვენი მახლობელი მეზობლების საჰაერო ძალთა რიცხვისაგან.

ჩემ მიერ გამოქვეყნებული ციფრები გვიჩვენებს, რომ ჩვენ მაინც მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ცნობები, რომელიც მე მოგაწოდეთ და ის პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ: საჭიროა გაცილებით მეტი ყურადღება მივაქციოთ ქვეყნის თავდაცვის საკითხს, ვიდრე აქამდის ვსჩადიოდით დღემდის.

რა პრინციპებს ემყარება ჩვენი თავდაცვის სისტემა

როგორია ჩვენი წითელი არმიის დღევანდელი მდგომარეობა? რამდენად შეუძლია მას უზრუნველყოს დღევანდელ მომენტში ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობიანობა და უშიშროება?

ყოველა ქვეყნის თავდაცვის სისტემა უნდა ემყარებოდეს სწორ წარმოდგენას იმაზე, თუ რა ხასიათი ექნება ამ ქვეყნისათვის შესაძლებელ სამხედრო შეტაკებებს. შეტაკების ხასიათი ჩვენ უნდა შევაფასოთ სამ ძირითად მომენტის მიხედვით: მისი სოციალური კლასიური შინაარსის მტრის ძალების რიცხვის და იმ ტექნიკურ საშუალებათა აღრიცხვის თვალსაზრისით, რომელიც შეიძლება და კიდეც უნდა იქნას გამოყენებული მომავალ ომების დროს.

ჩემ მიერ აღნიშნულ პირველ მომენტის—მომავალ ომის სოციალ-ეკონომიური შინაარსის თვალსაზრისით საკითხი იჭრება ჩვენთვის ჩვენი სახელმწიფოს ხასიათით. ჩვენ ვართ მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, ჩვენში ბატონობა ეკუთვნის შრომას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვაწარმოებთ ომს არც ერთ ისეთ სახელმწიფოსთან, სადაც გაბატონებული იქნება მშრომელთა კლასი.

ჩვენი შინაურ სამხედრო პოლიტიკის მიმართ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ავაშენებთ და ვაშენებთ ჩვენს არმიას კლასიურ-სოციალურ საფუძვლებზე.

მეორე მომენტის—ჩვენი შესაძლებელი მტრების ძალთა რიცხვის თვალსაზრისით—პასუხი უნდა ვეძებოთ ისევ ჩვენი სახელმწიფოს ხასიათში. ჩვენ ვართ დღემდის მსოფლიოში ერთად-ერთი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო. ჩვენი იზოლიაციის ფაქტი გვაიძულებს სხვანაირად დავაყენოთ ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვის საკითხი. ჩვენ უნდა გვყავდეს ისეთი არმია, რომელიც სერიოზულ შეტაკების დროს შესძლებდა საბჭოთა საზღვრების დაცვას ყველგან და ყველა მიმართულებით.

რაც შეეხება ბრძოლის ტექნიკურ რესურსებს, აქ საჭიროა ანგარიში გაუწიოთ წარსულ იმპერიალისტურ ომის გამოცდილებას. ეს გამოცდილება გვეუბნება: შეიარაღების არავითარი მარაგი არ გვეყოფა ოპერაციების საწარმოებლად. ყველაფერი ეს დახარჯული იქნება პირველ მომენტში, მაშინ როდესაც ომს შეუძლია მიიღოს ხანგრძლივი ხასიათი.

აი ამიტომ ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა ისე ავაშენოთ ქვეყნის მეურნეობა და ისეთი მიმართულება მივცეთ ჩვენს ეკონომიკას, რომელსაც მშვიდობიან დროს გაითვალისწინებდა თავდაცვის საჭიროება.

საკადრო არმია და მილიცია.

ჩვენი სამხედრო მშენებლობას საფუძვლად უდევს მუდმივ საკადრო არმიის და მილიციის შეფარდების პრინციპი.

ყოველ წელს იზრდება ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა—1.200.000 რაოდენობით. ამ რიცხვს უნდა გამოვაკლოთ ისინი, ვინც ფიზიკურად არ ვარგა სამხედრო სამსახურისათვის, მათი რიცხვი უდრის 300—350 ათას კაცს. ძველი და ახალი აღრიცხვის მიხედვით ეს ციფრი სავსებით შეეფერება სინამდვილეს. რჩება 900—850 კაცი, რომელიც უნდა გავწვრთნათ.

თუ გამოვაკლებთ საკომანდო შემადგენლობას, პოლიტ შემადგენლობას და სხვ. და მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ ცვალებად შემადგენლობას, 2 წლის სამსახურის ვადაში ყოველწლიურად შეგვიძლია გავატაროთ არმიის რიგებში მხოლოდ 270.000 კაცი. ამ რიცხვში შედის წითელი არმია, წითელი ფლოტი, სადარაჯო ჯარები, მცველ-მხლებელთა, სანაპირო რაზმები და სხვ. გამოდის, რომ დაახლოვებით ნახევარ მილიონი ახალგაზრდობის გაწვრთნა ჩვენ არ შეგვძლებია—ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენთვის საჭირო იქნებოდა არა 562.000 კაცისაგან შემდგარი არმია, არამედ სულ მცირე 1.700.000 კაცისაგან შემდგარი, ე, ი. ისეთივე არმია, როგორიც ჰყავდა მეფეს იმპერიალისტურ ომის დაწყების წინ.

ასეთი არმიის შენახვა ჯერ ერთი უზომო ტვირთად დააწვება მოსახლეობას, ხოლო მეორედ—ეს მთელი მსოფლიოსათვის იქნებოდა მართლაც წითელი იმპერიალიზმის მაჩვენებელი, რადგან მშვიდობიანი დროის არმია ასეთი რაოდენობით არის თავდასხმის და არა თავდაცვის არმია. აი რატომ ჩვენ არ შეგვიძლია ამ გზით წასვლა როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსიური მოსაზრებით. გამოსავალს ჩვენ ვპოულობთ საკადრო არმიის მომენტის სამილიციო სისტემასთან შეთავსებაში.

თუ რას გვაძლევს ჩვენ ამ ტერიტორიალური სამილიციო სისტემის გამოცდილება, ამ კითხვაზე მე სწორი და სავსებით ამომწურავი პასუხის გაცემა ამჟამად არ შემიძლია, რადგან ჩვენს მუშაობას დამთავრებულად არ ვსთვლი. მაგრამ ერთი რამ გარკვევით შემიძლია ვსთქვა: ამ სისტემამ თავისი თავი გაამართლა.

ამ სისტემის არსებით ნაწილს წარმოადგენს ჯარში გაწვევამდე მომზადება. თუ ჩვენ შევსძლით ჯარში გაწვევამდე მომზადების ისე დაყენება, როგორც ეს საჭიროა, ეს იქნება ჩვენი უდიდესი მიღწევა, ეს იქნება ტერიტორიალურ-სამილიციო სისტემის სრული განმტკიცება.

როგორ არის ჩვენში დაყენებული საქმე ამ მხრივ. ყოველ წლობით ჩვენ გვაქვს განსაზღვრული წარმატებები. უკვე მიმდინარე წელში ჩვენ ვუშვებთ ჯარში გაწვევამდე მომზადების საშუალებით 1903 და 1904 წლის წვევამდელებს 842,000 კაცის რაოდენობით; თითქმის მთელ იმ კონტინგენტს, რომელსაც ჩვენ ვალდებული ვართ ვსწავლოთ.

სამხედრო სამსახურის ვადა.

მე უკვე ვსთქვი, რომ გარკვეული კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ სამხედრო სამსახურის გავლის წესს, უკანასკნელ დრომდე ჩვენ არ გვქონია. ეს კანონები ჩვენ შევიმუშავეთ სულ რამოდენიმე ხნის წინ და ეხლა ისინი წარდგენილია განსახილველად ჩვენს საკავშირო მთავრობის ორგანოებში.

კანონის მთავარი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ წითელი არმიის რიგებში ნამდვილი სამსახურის ვადათ წესდება 5წელი. ეს იმას არ ნიშნავს რომ წითელარმიელმა ნამდვილ სამსახურში უნდა დაჰყოს ფაქტიურად 5 წელი. ფაქტიური სამსახური უდრის ორ წელს, ხოლო 3 წლის განმავლობაში წითელარმიელი ითვლება შვებულებაში.

ნამდვილი სამსახურის დაწყებამდე მთელი მოსახლეობა გაივლის ჯარში გაწვევამდე მომზადებას. ეს მომზადება სავალდებულოა და ტარდება ორი წლის განმავლობაში, ამავე დროს ყოველი წლობით გაწვევა გრძელდება ერთი თვის განმავლობაში.

ნამდვილი სამსახურის გათავების შემდეგ, ისინი, რომელთაც განვლილი აქვთ სამხედრო სამსახური, გადადიან არმიის მარქაფში და მარქაფში იმყოფებიან 40 წლის ასაკამდე. ამრიგად, სამხედრო სამსახურის საერთო ვადა ჩვენში განისაზღვრება 21 წლით.

თუ შევადარებთ ამ ვადებს მეფის დროის სამსახურის ვადებთან, დავინახავთ მათ შემცირებას.

როგორ ცხოვრობს, იკვებება და, იმოსება წითელი არმია

ეხლა მე მინდა გაგაცნოთ თქვენ, თუ როგორ ცხოვრობს, იკვებება და იმოსება წითელი არმია.

უნდა აღვნიშნო, რომ მომარაგების დარგში ყველა მიმართულებით ამ წელში ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი გაუმჯობესებანი. ჩვენს არმიაში ყოველდღიური კმაყოფის ნორმები კალორიებში განისაზღვრება 3,012-ით. თუ ჩვენ ავიღებთ მომარაგების მეორე მხარეს—ნივთებით მომარაგებას,—აქ ჩვენ, უსათუოდ, დავინახავთ გაუმჯობესებას. მთავარ საგნების მიხედვით წითელარმიელების მომარაგება აღწევს სრულ 100 პროც. ზოგიერთი ნაკლი, მართალია, გვაქვს ჩვენ. ეს ნაკლულოვანებანი შეეხება წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა წვრილმანებს.

რაც შეეხება ჩვენს ყაზარმებს, უნდა აღვნიშნო, რომ აქ ადგილი აქვს დიდ ნაკლულოვანებებს. ჩვენი ყაზარმები დაძველებულია.

ვერ არის აგრეთვე დამაკმაყოფილებლად დაყენებული სამუშაო ხელფასის საქმე. თუ ჩვენ ავიღებთ ცნობებს, რომლებიც შეეხება მეთაურთა შემადგენლობის სამუშაო ხელფასს, ჩვენ დავინახავთ შემდეგ სურათს: მწყობრის უფროსი საბჭოთა კავშირში ღებულობს 42 მანეთს, საფრანგეთში—56 მან., გერმანიაში—62 მ. პოლონეთში—76, ინგლისში—212 მან., გუნდის უფროსი ღებულობს საბჭოთა კავშირში 53 მ., გერმანიაში—84 მან., საფრანგეთში—110 მ., პოლონეთში—116 მ., ინგლისში—243 მან., ბათალიონის უფროსი ღებულობს ჩვენში—61 მან., გერმანიაში—114 მ.. პოლონეთში—150 მ., საფრანგეთში—162 მანეთს, ინგლისში—468 მ., პოლკის უფროსი ჩვენში 85 მ., გერმანიაში 163 მ. პოლონეთში 204 მ. საფრანგეთში 211 მ., ინგლისში 614 მ. დივიზიის უფროსი ჩვენში 110 მ., გერმანიაში—280 მ., საფრანგეთში—321 მან., პოლონეთში—323 მ., ინგლისში—1,020 მ.

ამ ციფრებიდან თქვენ ხედავთ, რომ ჩვენში მეთაურთა შემადგენლობის მდგომარეობა უფრო ცუდია, ვიდრე რომელიმე ბურჟუაზიული ქვეყნის არმიაში. რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი მეთაურთა შემადგენლობის ნამდვილი მდგომარეობა, უნდა გავითვალისწინოთ კიდევ მისი საბინაო პირობები.

დაბოლოს, უკანასკნელი საკითხი—პენსიით უზრუნველყოფის შესახებ. მე უსათუოდ საჭიროდ ვსთვლი რომ საბჭოთა ყრილობამ მისცეს მთავრობას დირექტივები ამ საკითხის სასწრაფოდ და დადებითად გადაჭრის შესახებ.

საჭიროა, რომ სამხედრო მოსამსახურე აბსოლიუტურად დარწმუნებული იყოს იმაში, რომ როცა ის დასტოვებს წითელი არმიის რიგებს, მას ექნება საკმაო უზრუნველყოფა.

გადავდივარ რა წითელი არმიის სანიტარულ მდგომარეობაზე, უნდა მე აღვნიშნო, რომ ჩვენი ცხოვრების ეს მხარე დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. არავითარ ეპიდემიას წითელ არმიაში ადგილი არა აქვს.

ნაციონალური საკითხი არმიაში სწორად არის გადაჭრილი.

ეხლა მე მინდა შევჩერდე ნაციონალურ საკითხზე ჩვენი არმიის აღმშენებლობაში, იმაზე, თუ როგორ ვანხორციელებთ ჩვენ არმიაში ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის პრინციპებს.

ჩვენ ვაწყობთ ჩვენს არმიას ისე, რომ ჩვენი კავშირის თვითეული ერი თავს არ გრძნობდეს შეურაცხყოფილად და უყურადღებოდ დარჩენილად. გამოცდილება, რომელიც ჩვენ გვაქვს, მოწმობს იმას, რომ გზა, რომელიც ავირჩიეთ ჩვენ, სავსებით სწორია, რომ ის ხელს უწყობს ეროვნულ წინაამდეგობათა და მტრობის აღმოფხვრას და ამავე დროს არ ბადებს შიშს წითელი არმიის შინაგანი მთლიანობის და ძლიერების შესახებ.

თუ რამდენად სერიოზულია ნაციონალური საკითხი ჩვენი წითელი არმიის მშენებლობისათვის, ამას ნათლად დაგვანახვებენ ჩვენ შემდეგი ციფრები, რომელიც შეეხება 1922 წლის უკანასკნელი გაწვევის ნაციონალურ შემადგენლობას: მის ძირითად ნაწილს, როგორც საზოგადოდ მთელი წითელი არმიის ძირითად ნაწილს,შეადგენენ ველიკოროსები—64 პრ., უკრაინელები—22 პრ., ბელორუსები—4, დანარჩენები—10 პროც. ასეთივე შეფარდება გვაქვს ჩვენ მთელს არმიაში საერთოდ, აქედან თქვენ ხედავთ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციონალური საკითხის სისწორით დაყენებას და გადაჭრას ჩვენს აღმშენებლობაში.

წითელი არმიის სამხედრო მომზადება დამაკმაყოფილებელია.

ეხლა მე პასუხი უნდა გავცე იმ კითხვას, რომელიც მე დავსვი მოხსენების დასაწყისში: რამდენად შეუძლია წითელარმიას მის ეხლანდელ პირობებში უზრუნველყოს ქვეყნის თავდაცვა?

არმიის ბრძოლის უნარიანობას განსაზღვრავს სამი ძირითადი მომენტი: პირველი, არმიის პირადი შემადგენლობის, მისი მეთაურთა და წითელარმიელთა შემადგენლობის სამხედრო მომზადება, მეორე—არმიის სულისკვეთება და მესამე—ტექნიკა.

როგორია მდგომარეობა პირადი შემადგენლობის მომზადების მხრივ?

თუ ჩვენ განვიხილავთ ჩვენი არმიის მეთაურთა შემადგენლობას, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიღწევებისა, რომელიც გვაქვს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. სამხედრო განათლების მხრივ 1922 წელს მეთაურთა შემადგენლობაში ასეთი მდგომარეობა იყო: 56 პროცენტზე მეტს ჩვენში ჰქონდა სამხედრო განათლება, 43 პროც. მეტს არავითარი სამხედრო განათლება არ ჰქონია. 1925 წელს ჩვენ უკვე ასეთ მდგომარეობას ვხედავთ: ის პირები, რომელთაც მიღებული აქვთ სამხედრო განათლება, შეადგენენ 90,5 პროცენტს, ხოლო ისინი, რომელთაც არ აქვთ სამხედრო განათლება შეადგენენ 9,5 პროცენტს.

წითელარმიელების და მათი მიღწევების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ არ გვაქვს სავსებით დამაკმაყოფილებელი სურათი.

სამხედრო მომზადების მხრივ ჩვენი წითელარმიელთა შემადგენლობა წარმოადგენს საუკეთესო მასალას, რომლის ღირსებასაც ყველა კარგად იცნობს.

წითელარმიის პირადი შემადგენლობის სამხედრო მომზადების თვალსაზრისით მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

წითელარმიელი არის არამარტო ჯარისკაცი, არამედ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე

მეორე მომენტს, რომელიც განსაზღვრავს არმიის ბრძოლის უნარიანობას, წარმოადგენს მისი პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა. ეს პირველ ყოვლისა და უმთავრესად დამოკიდებულია არმიის სოციალურ მდგომარეობაზე.

ჩვენი წითელი არმიის სოციალური შემადგენლობა ასეთია: გლეხები შეადგენენ 84,7 პროცენტს, მუშები—10 პროც. და დანარჩენები—5,3 პროცენტს.

ამ ციფრებიდან თქვენ ხედავთ, რომ არა მარტო წითელი არმია მთლიანად, არამედ აგრეთვე წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობა არის მუშათა კლასის და გლეხობის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი.

ამ რიგად, სამხედრო საქმე არის სავსებით მშრომელთა ხელში, ხოლო ეს საუკეთესოდ მოწმობს იმას, რომ წითელი არმია წარმოადგენს რევოლიუციის მტკიცე დასაყრდენს.

როგორც ასეთი თავისი კლასობრივი შემადგენლობით, ჩვენი წითელი არმია ბუნებრივად ცხოვრობს იმ კლასების განცდებით გრძნობებით და სულისკვეთებით, რომელთაც ის წარმოადგენს, ე. ი. მუშათა კლასის და გლეხობის. წინააღმდეგ კაპიტალისტურ ქვეყნების არმიებისა, ჩვენი წითელი არმიის ძლიერებას და მის სურვილს იბრძოლოს საბჭოთა სახელმწიფოებრივობის ინტერესებისათვის, ჩვენ ვამყარებთ არა მის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებიდან, საერთო მოქალაქეობრივ ინტერესებიდან გარიყვაზე, არამედ იმაზე, რომ თვითეული წითელარმიელი გრძნობდეს თავის თავს არა მარტო ჯარისკაცად, არამედ აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქედ.

აი ამიტომ ჩვენი წითელარმიელები თვალყურს ადევნებენ მიმდინარე ცხოვრების ყველა ფაქტებს, შინაური და საგარეო პოლიტიკის ამბებს და მათ აქვთ საკუთარი წარმოდგენა ყველაფერზე.

პოლიტიკას, რომელსაც ატარებს ჩვენი მთავრობა, იმ ლოზუნგს, რომელიც წამოსროლილია ეხლა, ლოზუნგს: „პირი სოფლისაკენ", ესალმება წითელი არმიის მთელი შემადგენლობა. მუშურ-გლეხური წითელი არმია ხედავს, რომ ეს პოლიტიკა სწორია, რომ ეს ისეთი კურსია, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცეს, ამტკიცებს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირს. ეს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი კარგად აქვთ შეგნებული ჩვენს წითელარმიელებს. ისინი კარგად დაარწმუნა ძველი და უკანასკნელი დღეების გამოცდილებამ. უცხოეთის ცხოვრებას ისინი კარგად იცნობენ, მათ იციან ბულგარეთის მუშების და გლეხების გამოცდილება.

აი რატომ მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის იდეა მათ მიერ ტარდება ცხოვრებაში მტკიცედ, თანდათანობით და გადაუხვევლად. აი რატომ ისინი მთელი თავისი შემადგენლობით ესალმებიან ჩვენს პოლიტიკას სოფლის მიმართ და ხედავენ ამაში ჩვენი სამხედრო ძლიერების შემდეგი განმტკიცების საწინდარს.

ჩვენი არმიის სოციალურ-პოლიტიკური ფიზიონომიის დახასიათებამ, რომელიც მე მოვახდინე თქვენს წინაშე, საშუალება მოგვცა ჩვენ ფართოდ გაგვეტარებია არმიაში ერთუფროსობის პრინციპი. ამან საშუალება მოგვცა დაგვეწყო კომისართა ინსტიტუტის ლიკვიდაცია და წავსულიყავით ერთუფროსობის პრინციპის განხორციელების გზით.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა არმიაში

მე მინდა მოკლეთ შევეხო ჩვენი სამხედრო მუშაობის ერთ მომენტს, ამ მუშაობის კულტურულ მნიშვნელობას.

ამ მხრივ—სიამაყით შემიძლია ვსთქვა, რომ წითელ არმიას ვერ შეედრება სხვა სახელმწიფოების ვერც ერთი არმია. წითელი ყაზარმა და წითელი არმია წარმოადგენს არა მარტო მებრძოლთა აღმზრდელ სკოლას, წითელარმიელის სამხედრო მომზადების სკოლას, არამედ მისი, როგორც მოქალაქის და კულტურულ მუშაკის აღზრდის სკოლას.

წითელიარმიის რიგებში ჩვენ მრავლად გვაქვს ლენინის კუთხეები, სადაც წითელარმიელები თავს იყრიან დასვენების დროს და მეცადინეობენ თვითგანვითარების მიზნით მთელი საათობით. ასეთი კუთხეების რიცხვი უდრის 4.500-ს. საკლუბო წრეების და საბიბლიოთეკო მუშაობას წითელარმიის რიგებში აქვს ფართო ხასიათი. წიგნების კითხვა ყოველწლიურად იზრდება. 1923 წ. წითელარმიელთა ბიბლიოთეკიდან წაღებული იქნა 6.438.800 წიგნი, 1924 წ.—10.051.000. ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ არმიაში.

სამწუხაროთ დღემდისაც წითელარმიაში წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი დიდია. საშუალოთ იგი აღწევს 20 პროც. ჩვენ მოვახდინეთ უცოდინარობის ლიკვიდაციას წითელ არმიაში სამსახურის დროს. 1924 წელს ჩვენ შევასწავლეთ წერა-კითხვა 33.421 კაცს, რაც შეადგენს 9 პროც., წერა-კითხვის სუსტად მცოდნეთა რიცხვი უდრიდა 33.717-ს, დაახლოვებით 12 პროც., სულ—71.138. 1924 წელს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ვახდენთ 28.947 სრულიად უცოდინართა და 44.257 სუსტად მცოდნეთა [illegible], სულ—73.204 კაცს შორის.

[illegible]თრებული თქვენი ყურადღება მე უნდა მივაქციო [illegible] რულ მუშაობას, რომელიც ტარდება ტერიტორიალურ ნაწილებში.

წითელი არმიის ტეხნიკა.

რაც შეეხება მესამე მომენტს, რომელიც განსაზღვრავს წითელი არმიის ბრძოლის უნარს—ტეხნიკურ მომენტს—მე უნდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ საქმე უფრო ცუდათ არის, ვიდრე ჩვენი სამხედრო მუშაობის სხვა დარგები. თუ ჩვენ შევადარებთ ჩვენი არმიის მდგომარეობას ამ მხრივ ბურჟუაზიული ქვეყნების არმიების მდგომარეობასთან, თავის თავად ცხადია, უნდა აღვნიშნოთ მინუსი ჩვენს ქვეყანაში. წითელი არმიის ტეხნიკის განვითარების ამოცანა წარმოადგენს მთავარ და არსებით ჩვენს ამოცანას. ყველაზე მთავარ ტეხნიკურ იარაღს, რომელიც გადამწყვეტ როლს ითამაშებს ბრძოლის ველზე, წარმოადგენს საჰაერო ფლოტი. საჰაერო ფლოტის აღმშენებლობის საქმეში ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ მთელი რიგი წარმატებათა. რა თქმა უნდა, ჩვენ არა გვაქვს წითელი საჰაერო ფლოტი, რომელიც ჩვენ უნდა გვქონდეს და, იმედი გვაქვს, გვექნება, მაგრამ გვაქვს მისთვის ჯანსაღი და მტკიცე ბაზა. პირადი შემადგენლობა—ფლოტის სამარ ძლიერების ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი—ჩვენ ამჟამად გვყავს და ეს პირადი შემადგენლობა ჩვენ სავსებით გვაკმაყოფილებს.

ჩვენ გვაქვს საავიაციო სამხედრო სასწავლებელთა მთელი ქსელი. ის პირადი შემადგენლობა, რომელსაც ჩვენ ამ სასწავლებლებიდან უშვებთ, საჰაერო ფლოტის ეხლანდელ განვითარების პირობებში სავსებით აკმაყოფილებს.

ბევრმა თქვენგანმა ინახულა კვირას ხოდინის ველზე ერთ-ერთი ჩვენი განმანადგურებელი ესკადრილია. თქვენ ნახეთ მისი ტეხნიკური და ტაქტიკური მომზადება. მე დარწმუნებული ვარ, რომ დასკვნა, რომელიც თქვენ გამოიყვანეთ, იყო ჩვენი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.

მეორე აგრეთვე მნიშვნელოვან ტეხნიკურ იარაღს წარმოადგენს ჩვენი საზღვაო ფლოტი.

ჩვენი საზღვაო ფლოტის ბედი ძალიან ტრაგიკული იყო. მთავარ პუნქტებში ჩვენ მოწყვეტილი ვართ ასე თუ ისე დიდ ზღვებს. ჩვენი ფლოტის მთავარი ძალა—ბალტიის ფლოტი—დღეს სდგას კრონშტადტის კედლებთან და მას არა აქვს გასავალი ასპარეზი, სადაც შეიძლებოდა მისი სამხედრო მეცადინეობის წარმოება. მაგრამ ჩვენი ფლოტის საქმე წარმატებით მიდის. ჩვენი შავი ზღვის და ბალტიის ფლოტი,—როგორც პირადი შემადგენლობით, ისე მოწყობილობით და გემის კომანდათა ტაქტიკური მომზადებით, არ ჩამოუვარდება ძველ მეფის ფლოტს.

სამხედრო მრეწველობის მდგომარეობა.

შევეხები რამდენიმე სიტყვით ჩვენი სამხედრო მრეწველობის მდგომარეობას.

სამხედრო მრეწველობის მდგომარეობა უკანასკნელ ხანებამდე ძალიან მძიმე იყო. ამას ხელს უწყობდა მთელი რიგი გარემოებათა. პირველ ყოვლისა—სამხედრო მრეწველობა ყოველგვარ ნორმას ზევით მუშაობდა იმპერიალისტურ ომის და შემდეგ სამოქალაქო ომის დროს. სამხედრო ქარხნებში [illegible] 24 საათის განმავლობაში, 30 დღე თვეში. ამიტომ ამ ქარხნების მატერიალური ნაწილი გაიცვითა; პირადი შემადგენლობა მუშების და ინჟინრების სახით, შემცირდა. 1923 წლის შემდეგ სამხედრო უწყება და მთავრობა ამ საქმეს აქცევს სათანადო ყურადღებას. ეხლა ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ერთგვარი წარმატებით ამ დარგში.

საავიაციო მრეწველობის დარგშიაც უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ არა ნაკლები წარმატება. თვითმფრინავთა მშენებლობის დარგში ჩვენ ვფიქრობთ, რომ საზღვარგარეთთან ჩვენი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების ამოცანა გადაწყვეტილია. ჯერ კიდევ 1925 წლამდე ჩვენ შევიძინეთ საზღვარგარეთ 3 წლის განმავლობაში 700-ზე მეტი თვითმფრინავი; წელს ჩვენ ჯერ გვიყიდია არც ერთი თვითმფრინავი და მე ვფიქრობ, რომ მომავალ წელს ჩვენ სავსებით უზრუნველყოფილი ვიქნებით ჩვენი თვითმფრინავთა დამამზადებელ ქარხნების პროდუქციით.

ცოტა უფრო ცუდათ მიდის საქმე მოტორების აღმშენებლობის დარგში, ეს საქმე წარმოადგენს ძალიან დიდ სიძნელეს, რომლის ერთბაშად გადალახვა შეუძლებელია. ჩვენთვის საჭიროა ლითონის მრეწველობის და მანქანების მშენებლობის ფართოთ დაყენება, რათა მოტორების დამზადების საქმე სათანადო სიმაღლეზე დავაყენეთ. მაგრამ ერთგვარი მიღწევანი ამ დარგშიაც გვაქვს. ჩვენ გვაქვს საკუთარი საბჭოთა მოტორი ჩვენი ინსტრუქტორების მიერ მოწყობილი, რომელმაც გამოცდის დროს დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა.

შემოქმედი ძალები ჩვენში ძალიან ბევრია. მთელი ჩვენი მეურნეობის და ცხოვრების ყოველ დარგში სჩქეფს შემოქმედებითი ენერგია. ჩვენი უბედურება მდგომარეობს არა იმაში, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიგონოთ ესა თუ ის გაუმჯობესებანი, რომ ჩვენ ყოველთვის არ შეგვიძლია მოვახდინოთ მისი რეალიზაცია ჩვენი ფინანსების და მრეწველობის მდგომარეობის გამო. თუ ჩვენი მეურნეობა გაუმჯობესდა, მე დარწმუნებული ვარ, რომ კვლევა-ძიების და აღმოჩენების დარგში ჩვენ არა თუ არ ჩამოვრჩებით უცხოეთს, არამედ კიდეც გაუსწრობთ მას. ჩვენ უკვე გვაქვს უდიდესი მნიშვნელობის გამოგონებანი, რომელთა რეალიზაცია გაცილებით უფრო მაღალ დონეზე დააყენებს ჩვენი წითელი არმიის ძლიერებას.

მრეწველობის უკანასკნელი დარგი, რომელსაც აქვს არა ნაკლები მნიშვნელობა სამხედრო საქმისათვის, ვიდრე ავიომშენებლობას, ეს არის ქიმიური მრეწველობა. ქიმიური მრეწველობა, წინააღმდეგ მრეწველობის სხვა დარგებისა, მაგ. ზარბაზნების, ტყვია-წამლის და თოფების ქარხნებისა, განსხვავდება იმით, რომ იგი წარმოადგენს არა მარტო თავდაცვის განმტკიცების საშუალებას, არამედ ქვეყნის საერთო კულტურის აწევის მძლავრ ფაქტორს. ქიმიური მრეწველობის განვითარებით დაინტერესებული ვართ არა მარტო ჩვენ—წითელი არმია, არამედ დაინტერესებულია ჩვენი მრეწველობა, დაინტერესებულია პირველ ყოვლისა ჩვენი სასოფლო მეურნეობა.

ყველა რესპუბლიკების მიწადმოქმედების სახ. კომისარიატების და საცდელ-აგრონომიულ სადგურების ხელმძღვანელთა ამოცანას უნდა შეადგენდეს პროპაგანდის წარმოება სასოფლო მეურნეობაში ქიმიურ განოყიერებელ საშუალებათა ხმარების სასარგებლოდ.

სამხედრო ქიმიის დარგში ჩვენში მუშაობენ მთელი რიგი გამოჩენილ მეცნიერებისა. საკმარისია გავიხსენოთ პროფესორ იპოლიევის სახელი, რომელიც ცნობილია მსოფლიოში, პროფესორი ზელინსკი, რომელიც ცნობილია, როგორც გაზის საწინააღმდეგო საშუალების გამომგონი, და სხვა მრავალ ქიმიკოსთა სახელები. ამ მეცნიერთა მუშაობა უდიდეს განძს წარმოადგენს ქვეყნის კულტურისათვის და ჩვენი ძლიერების განმტკიცებისათვის. ვსარგებლობ შემთხვევით, რომ აღვნიშნო ყველა ჩვენ ქიმიკოსთა უდიდესი დამსახურება დაწყებული პროფესორებიდან და გათავებული უბრალო ლაბორანტებით, რომელნიც ერთსულოვანი შრომით, მუშათა ხალხთან კავშირში ხელს უწყობენ ჩვენი კულტურის აყვავებას და სამხედრო ძლიერების განმტკიცებას.

სალამი ქვეყნის თავდაცვის ხელის შემწყობთ.

მეცნიერების და ფიზიკურ შრომის მუშაკთა ძალ-ღონე ჩვენში გაერთიანებულია მთელ რიგ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. მე ვლაპარაკობ საჰაერო ფლოტის, ქიმიურ მრეწველობის მეგობართა საზოგადოებებზე და სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებაზე.

ეს საზოგადოებები ეწევიან უდიდეს მუშაობას მცხოვრებთა შორის ცოდნის გასავრცელებლად, ქვეყნის თავდაცვის საქმისათვის ხელის შესაწყობად და კულტურულ დონეს ასაწევად. ვსარგებლობ შემთხვევით ამ ტრიბუნიდან, წითელი არმიის სახელით სალამი უძღვნა მშრომელთა მილიონებს, რომელნიც გაერთიანებული არიან ამ საზოგადოებებში და უსურვო მათ შემდეგი წარმატება მუშაობაში.

წითელი არმია თავის მოვალეობას შეასრულებს.

მე ვათავებ სიტყვას. თქვენ შეგიძლიათ შემეკითხოთ ჩემი მოხსენების შემდეგ, რომელშიაც შევეცადე გამეშუქებია მთელი ჩვენი მუშაობის ყველა მხარეები.

„წითელ არმიას რომ მოუხდეს ეხლა ბრძოლის ველზე გასვლა—შესძლებს თუ არა იგი საბჭოთა კავშირის დაცვას?“

ვფიქრობ, რომ არ შევცდები, თუ ვიტყვი: „თუ ვინმეს მოესურვება ხიშტით დასინჯოს საბჭოთა სახლის სიმტკიცე, წითელი არმია დაამტკიცებს, რომ ეხლა გაცილებით უფრო ადვილია არა დანგრევა ამ სახლისა, არამედ მისი გაფართოება საბჭოთა მონაშენებით“. (ტაში. ხმები: „გაუმარჯოს წითელ არმიას! ვაშა!“).

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობებით)

მუსოლინი იტალია--საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

რომი, 21 მაისი. „სტეფანის“ სააგენტო იუწყება, რომ მუსოლინიმ წარმოსთქვა სენატში ვრცელი სიტყვა გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დასრულების შემდეგ.

შეეხო რა იტალია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, მუსოლინიმ სთქვა: „არავის არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმაში. რომ საბჭოთა ხელისუფლების ცნობის პოლიტიკამ, რომელსაც იცავდა იტალიის მთავრობა, სარგებლობა მოგვიტანა. ყველამ კარგათ იცის, რომ იტალიის კომუნისტების ძალები საკმარისი არ არის და რომ მათ მუშათა კლასში ძალიან ცოტა შიმდევარი ჰყავთ. მე არ ვფიქრობ, რომ რუსეთის მთავრობას უნდოდეს სახელი გაუტეხოს თავის დიპლომატიურ მდგომარეობას და უნდობლობის საბაბი მისცეს იმ მთავრობებს, რომლებმაც ის იცნეს. მე უნდა განვაცხადო სრულიად გულწრფელათ, რომ დღემდის იტალიის მთავრობას საყვედური არ ეთქმის რუსეთის დიპლომატიურ და სავაჭრო წარმომადგენლობათა მოქმედებისათვის იტალიაში. მათი მოქმედება ყოველთვის იყო წესიერი და, იმედი მაქვს, მომავალშიაც ასეთი იქნება.

მე განზრახული მაქვს მხარი დაუჭირო პალატაში საბჭოთა კავშირთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებას.

ამერიკის კაპიტალის ზრახვები

ამერიკა ეძებს ახალ გზებს მსოფლიო ბაზარზე ბატონობის შესანარჩუნებლად

ნიუ-იორკი, 21 მაისი. ამერიკის სავაჭრო პალატის ყრილობაზე ბევრი ბანკირები და კომერსანტები თავიანთ სიტყვებში ხაზს უსვამდენ მჭიდრო კავშირს, რომელიც არსებობს რეპარაციების და საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებს შორის. ხედავდენ რა საერთაშორისო კონკურენციაში საშიშროებას საერთაშორისო ვაჭრობისათვის, ორატორები სცდილობდენ გამოენახათ რეპარაციების და ვალების გადახდის ისეთი საშუალება, რომელსაც შედეგად არ მოჰყვებოდა საზიანო კონკურენცია საერთაშორისო ვაჭრობისათვის.

დიდმა ექსპორტიორმა იულიუს ბარნესმა, რომელიც ახლოს სდგას ვაჭრობის მინისტრ გუვერთან, შეიტანა წინადადება, რათა გერმანიამ და ამერიკის სხვა მოვალეებმა გამოიყენონ თავიანთი ექსპორტის ნაწილი ახალ ბაზრებზე და მიაწოდონ მასალები რკინისგზებს, მაღაროებს, სასოფლო-მეურნეობას და სხვ. და ამგვარად თავიდან აიცილონ უშუალო კონკურენცია ამერიკელ მრეწველებთან არსებულ ბაზრებზე. შემდეგ ბარნესმა წამოაყენა წინადადება, ერთა სავაჭრო პალატათა საერთაშორისო ყრილობაზე, რომელიც გაიმართება ივნისში ბრიუსელში, ამერიკის დელეგატებმა წამოაყენონ ეს გეგმა და ამავე დროს შეიტანონ წინადადება მასში ამერიკის კაპიტალის დაბანდების შესახებ, რაც საშუალებას მისცემდა ამერიკას თავიდან აეშორებია გერმანიის და სხვა მოვალე სახელმწიფოების კონკურენცია ამერიკის საგარეო ბაზრებზე.

თუმცა ორატორს, ამ საკითხის განხილვის დროს, არ უხსენებია საბჭოთა კავშირი, „როსტას“ კორესპონდენტმა სარწმუნო წყაროებიდან იცის, რომ საერთაშორისო საქმიან წრეებს საჭიროთ მიაჩნიათ ხელი შეუწყონ გერმანიის გასვლას საბჭოთა კავშირის ბაზარზე.

რამდენადაც ასეთი გასვლა მოასწავებს ამერიკის კაპიტალის არაპირდაპირ დაბანდებას საბჭოთა კავშირში, ისმება საკითხი ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, რასაც ამ ჟამად ერიდებიან.

შემდეგი ცნობების თანახმად, ბრიუსელის კონფერენციაზე მოსალოდნელია ექსპერტთა კომისიის მოხსენება რეპარაციების და საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ. ამ მოხსენებაში პირდაპირ ან არაპირდაპირ წამოყენებული იქნება წინადადება გერმანიის ექსპორტისათვის საბჭოთა ბაზრის აღდგენის შესახებ. ბრიუსელის ყრილობას დაესწრება ამერიკის მრავალრიცხოვანი დელეგაცია ისეთ გავლენიან პირთა შემადგენლობით, როგორც ბარნესი და „სტანდარტ ოილის“ გამგეობის თავმჯდომარე ბედფორდი.

ბოლოს სავაჭრო პალატათა ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რათა ამერიკის მთავრობამ გააფართოვოს მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოებთან მათ მიერ ამერიკის მრეწველობისათვის ხელსაყრელ ბაჟების დაწესების შესახებ.

გარდა ამისა რეზოლიუცია მოითხოვს ამერიკის შესვლას ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალში.

მდგომარეობა მაროკკოში

პარიზი, 21 მაისი. „ჰავასის“ სააგენტო გადმოგვცემს ოფიციალურ ცნობას მაროკკოში მდგომარეობის შესახებ.

გენერალ კოლომბოს რაზმმა, არტილერიის და ჰაეროპლანების დახმარებით, წარმატებითი ბრძოლის შემდეგ, გაანთავისუფლა ბიბანი და მიაწოდა მას სურსათ-სანოვაგე. მეამბოხეები უწევდენ სასტიკ წინააღმდეგობას და ხელჩართულ ბრძოლაში გადადიოდენ. სამხედრო ოპერაციებს ხელს უშლის ტყიანი ადგილები და აგრეთვე მეამბოხეთა დარაზმულობა და სიმტკიცე.

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირის საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა

მოსკოვი. 22 მაისი. 21 მაისს შესდგა საბჭოთა კავშირის ახალი საკავშირო საბჭოს პირველი სხდომა. საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმში არჩეული არიან: ტომსკი, სმირნოვი, რუძუტაკი, ივანოვი, ჩუბარი, ლუკაშინი, ახუნ ბაბაევი და აჰაბაევი. საკავშირო საბჭოს მდივნად არჩეულია ივანოვი.

ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმი.

მოსკოვი. 22 მაისი. 21 მაისს შესდგა ეროვნებათა ახალი საბჭოს პირველი სხდომა. ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმში არჩეული არიან: ანდრეევი, უგლანოვი, კულბიშეროვი, სკრიპნიკი, სტარი, ცხაკაია, კუშაევი, ევდოკიმოვი, ჟილუნოვიჩი. ეროვნებათა საბჭოს მდივნად არჩეულია კულბიშეროვი.

ნოკრაში-ბეის მეორეჯერ დაპატიმრება

ლონდონი, 21 მაისი. ეგვიპტის სასამართლო ხელისუფლებამ გასცა განკარგულება მეორეჯერ დააპატიმრონ ზაგლულ-ფაშის კაბინეტის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფ. ამხანაგი ნოკრაში-ბეი.

პირველად ნოკრაში-ბეის წარუდგინეს ბრალდება იმაში, რომ ის ხელს უშლიდა ლი-სტეკის მოკვლის საქმის გამორკვევას.

მემანქანეთა ყრილობის რეზოლიუცია

ლონდონი, 21 მაისი. მემანქანეთა და მანქანაზე მომუშავეთა კავშირის კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც კიცხავს მუშათა პარტიის ეროვნულ კონგრესის გადაწყვეტილებას თავის წრიდან კომუნისტების გამორიცხვის შესახებ.

რეზოლიუცია მოუწოდებს მემანქანეთა კავშირს ითანამშრომლოს კომპარტიასთან, ან მუშათა სხვა ორგანიზაციასთან, რომლის მიზანიც იქნება მუშათა კლასის კონტროლი მრეწველობასა და პოლიტიკაზე.

მაროკკოს ამბების გარშემო

პარიზი, 21 მაისი, ჰავასის სააგენტოს ცნობით რიფები საფრანგეთის მოსაზღვრე ზონის მცხოვრებთა შორის ავრცელებენ ხმებს, თითქოს აბდულ-ქერიმს დაეწყოს შემოტევა გერმანიის მთავრობასთან შეთანხმების შემდეგ, რომელიც შეპირდა მას შეეტია საფრანგეთისათვის რეინზე.

პარიზი, 21 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: კაზაბლანკიდან მოსული ცნობები ადასტურებენ რიფების შეჯგუფებას საფრანგეთის ჯარების მიერ დაკავებულ ხაზის დასავლეთით.

შეკითხვა რუსი ემიგრანტების შესახებ

ლონდონი. 21 მაისი. ინგლისის პარლამენტში დეპუტატმა გოფმა იკითხა, ფიქრობს თუ არა მთავრობა ნება დართოს რუსებს კიდევ იცხოვრონ ინგლისში, თუ არ იქნება შესრულებული 1921 წლის ინგლის-საბჭოთა სავაჭრო შეთანხმება?

შინაგან საქმეთა მინისტრმა ხიკსმა უპასუხა, რომ მისი აზრით, ინგლის'ში მცხოვრები 88.000 რუსი არ არის დაინტერესებული სავაჭრო შეთანხმებაში და ისინი პასუხს არ აგებენ ამისათვის, რადგანაც უმეტესი მათგანი ინგლისში ცხოვრობდა ომის დაწყებამდი.

მუშათა პარტიის წევრმა ბაკვინდერმა იკითხა, ნუ თუ მართალი არ არის ის, რომ ამ რუსთა უმეტესობა „თეთრია და არა წითელი“? ამ კითხვაზე მას პასუხი არ გასცეს.

საბჭოთა დროშების გადაცემა

ბერლინი, 21 მაისი. წითელი ფრონტელების კავშირისა და ახალგაზრდა სპარტაკელების საზეიმო მსვლელობამ ლიხტენბერგის სტადიონისაკენ საბჭოთა სამი დროშის საზეიმო მიღებისათვის, მშვენივრად ჩაიარა.

მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო წითელი ფრონტელების კავშირის 30.000 წევრმა გერმანიის ყოველი კუთხიდან.

ზეიმი გაიხსნა ტელმანის სიტყვით; დაესწრო 60.000-დე კაცი. ლისტგარტენში მოეწყო დიდი დემონსტრაცია. მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრაციის ადგილზე პოლიციის დიდი რაზმები იყო გამოგზავნილი, ინციდენტებს ადგილი არა ჰქონია.

ინგლისის საზღვაო ძალების დემონსტრაცია

ლენინგრადი, 22 მაისი. „როსტას“ კორესპონდენტთან საუბრის დროს ბალტიის ზღვაზე ინგლისის ფლოტის გამოჩენის გამო სამხედრო-საზღვაო აკადემიის უფროსმა ჟერვემ განაცხადა:

„ბალტიის ზღვაზე ინგლისის 55 სამხედრო გემისაგან შემდგარ ესკადრის გამოჩენას და აბოში და სხვა ნავთსადგურებში შესვლას აქვს უთუოდ დემონსტრაციის ხასიათი. ეს, უწინარეს ყოვლისა, დემონსტრაციაა საბჭოთა კავშირის მიმართ, შემდეგ კი ეს არის თავის ძალების დემონსტრაცია სწორედ იმ ზღვაში, რომელზედაც ინგლისი დიდი ხანია სცდილობს დაამყაროს თავისი გავლენა. ინგლისი იძულებულია იყოლიოს ძლიერი ფლოტი ბალტიის ზღვაში თუნდაც იმიტომ, რომ ეკონომიურად იგი მჭიდროთაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან, პოლონეთთან, ესტონეთთან, ლატვიასთან და გერმანიასთან ბალტიის ზღვის ნავთსადგურების საშუალებით.

ინგლისის ფლოტის ესკადრა, რომელიც დღეს ინგლისის ძალების დემონსტრაციას ახდენს ბალტიის ზღვის ნავთსადგურებში, ცხადია, წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელსაც ინგლისის საადმირალო გამოიყენებს ბალტიის ზღვაზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნა რაიმე გართულებას.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯალათი ცანკოვი

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საკავშირო ყრილობა

ამხ. ივანოვ-გრამენის მოხსენება

მოსკოვი, 22 მაისი. საორგანიზაციო საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ივანოვი--გრამენი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სექციის ზრდა გავრცელების აპარატების და აგენტურის მუშაკთა ხარჯზე მოითხოვს მისი შემადგენლობის სისტემატიურ შესწავლას. სექციაში არასასურველ ელემენტების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა კავშირში მიღების პირობების სწორი რეგლამენტაცია. საჭიროა მეტი ყურადღება ლიტერატურულ მუშაკებისადმი, როგორც მაგალითად: მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები და სხვა, რომელნიც არ ირიცხებიან გამომცემლობის შტატში.

შემდეგ შეეხო რა სექციის ორგანოების საკითხს, ივანოვ-გრამენმა აღნიშნა, რომ საჭიროა სექციის ორგანოების მუშაობაში მეტი გეგმიანობის შეტანა და სექციის მუშაობის უფრო დაკავშირება საერთაშორისო მოქმედების გეგმასთან.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე დამატებით ერთპროცენტიან გადარიცხვას და აღნიშნა, რომ მისი სიმძიმე სექციის წევრთა უმრავლესობისათვის გვაიძულებს შევამციროთ იგი ნახევარ პროცენტამდე.

ამხ. ურიცკის მოხსენება

სატარიფო-ეკონომიურ მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ურიცკი შეეხო სამ მომენტს: ახალ ტარიფს, 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას და საწარმოვო მუშაობას. მოხსენებელი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს ახალ ტარიფს და აღნიშნავს, რომ საჭიროა, რათა ადგილობრივი ორგანიზაციები ფრთხილად მიუდგენ მის გატარებას.

8 საათის სამუშაო დღის შემოღებამ, მომხსენებლის აზრით, უნდა მოსპოს ტარიფის დარღვევა, დაუსაბუთებელი ზედმეტი დატვირთვა, ზედმეტი მუშაობა და სხვა.

ამხ. ნარბუტის მოხსენება.

შემდეგ ამხ. ნარბუტი აკეთებს მოხსენებას კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს ჩამორჩენილობას ამ დარგში, თუმცა ამ მხრივ გაცილებით მეტია გაკეთებული, ვიდრე 2 წლის წინად. ნარბუტმა აღნიშნა, რომ კულტურულ მუშაობის ბაზას უნდა წარმოადგენდეს საკლუბო უჯრედები.

შემდეგ მომხსენებელი ხაზს უსვამს რომ საჭიროა რესპუბლიკების ცენტრში შემოდგომაზე მოეწყოს საგაზეთო მუშათა გადასამზადებელი კურსები.

ნარბუტის აზრით, ამასთანავე ერთად აუცილებელია სექციის მუშაობის წარმოება გლეხებს, მუშებს და წითელარმიელებს შორის და პირველ ყოვლისა მუშათა, გლეხთა და სამხედრო კორესპონდენტებს შორის.

პარტიის პრესტიჟისა და რევოლიუციონური კანონიერების შესახებ

მიმდინარე წლის გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ხერსონში და ხერსონის ოლქში გაჩნდა უცნაური ეპიდემია: **„მილიციის ჭირი“**. თანამდებობიდან მოხსნილი და ნაწილობრივ დაპატიმრებული იქნენ მილიციის თითქმის ყველა პასუხისმგებელი მუშაკები, დაწყებული მილიციის საოლქო სამმართველოს უფროსით და გათავებული სოფლის მილიციის სამმართველოს უფროსით. აღმოჩნდა, რომ ყველა ისინი მონაწილეობას იღებდენ სხვადასხვა ბოროტმოქმედებაში. გაზეთებში დაბეჭდილი იყო საუბარი ოდესის საგუბერნიო პროკურორთან, საიდანაც სჩანდა, რომ ზემოაღნიშნული პირების დაპატიმრება ტყუილ-უბრალოთ არ მომხდარა.

მაგრამ თვითეულ დაკვირვებულ მკითხველს უნდა დაბადებოდა ასეთი კითხვა: თუ მილიციელთა ბოროტმოქმედებებმა ხერსონში „ეპიდემიური ხასიათი მიიღო, მაშინ ამის შესახებ რატომ არაფერი არ იცოდა ხერსონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ხერსონის პროკურატურამ და მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ? დაბოლოს, ნუ თუ ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტმა სრულებით არაფერი არ იცოდა ამის შესახებ და მას მილიციის მასიური წმენდა ზევიდან უეცრათ დაატყდა თავზე?

აქ ჩვენ შევხვდებით ხერსონის კიდევ ერთ „ეპიდემიურ“ ავადმყოფობას: **„პროკურორის ჭირს“**. ხერსონში მოკლე დროის განმავლობაში შეიცვალა ხუთი პროკურორი. უკანასკნელი პროკურორი ამხ. პოზდნევი ხერსონიდან გაძევებული იქნა და ამასთან არა მარტო გადაყანებული იქნა, არამედ გამორიცხეს კიდეც პარტიიდან. თუმცა შემდეგ უმაღლესმა ინსტანციამ ის აღადგინა უფლებებში და ეხლა მუშაობს ოდესის საგუბერნიო პროკურატურაში. მაგრამ ხერსონში ჰაერი მისთვის მავნე აღმოჩნდა. იქ კი მის წინააღმდეგ ილაშქრებდენ სწორეთ ის საფრონოვი (ადმინისტრატიული განყოფილების გამგე) და სწორეთ ის დიტმარი (მილიციის უფროსი), რომლებიც ეხლა ციხეში სხედან, როგორც ბოროტმოქმედნი. ყველაფერი გასაგები გახდება, თუ ამას დაუმატებთ, რომ ამხ. პოზდნევი პროკურორათ ყოფნის დროს სერიოზულათ სცდილობდა დაეპატიმრებია ბოროტმოქმედნი, თუნდაც ისინი პარტიული ბილეთითაც კი ყოფილიყვნენ აღჭურვილნი. ეხლა ბოროტმოქმედნი მაინც ვერ გაექცენ ციხეს და პარტიულმა ბილეთმა ვერ იხსნა ისინი რევოლიუციონურ კანონიერების ორგანოების მსჯავრისაგან.

მაგრამ რამდენი დრო გავიდა! რამდენი არევ-დარევა იქნა შეტანილი მშრომელთა თავში, რომლებიც პარტიის საოლქო კომიტეტზე უკეთესად ხედავდენ მილიციის თვითნებობას და უკანონობას და გულნატკენი იყვნენ ამ უკანონობისათვის დაუსჯელობის გამო.

თავი დავანებოთ ერთი წუთით ხერსონის მილიციას და გავეცნოთ ხერსონის ოლქის კაჭაროვის რაიონულ კომიტეტს. კაჭაროვის რაიონული ალმასკომის შესახებ ხერსონში როგორღაც შეიმუშავეს ისეთი აზრი, თითქოს ის სამაგალითო რაიონული ალმასკომია, მისი თავმჯდომარე კი კომუნისტი ირიჩი, ჩარიცხეს სამაგალითო მუშაკთა რიცხვში. პროკურატურამ კი დაამტკიცა, რომ ირიჩი და მთელი მისი კომპანია—ბოროტმომქმედთა „შაიკაა“, რომელიც მონაწილეობას იღებდა ქურდობაში, ლოთობაში, შანტაჟისტურ მოქმედებაში და ბნელ საქმეებში. საოლქო კომიტეტმა დაადგინა **საქმის გარჩევის უფლება ჩამოერთვას პროკურატურას** და ამ უკანასკნელის საწინააღმდეგოთ გადაწყვიტა: ირიჩის არჩევა ყრილობებზე (საგუბერნიო, სრულიად უკრაინის და რუსეთის ყრილობები) სრულიად შესაძლებლად იქნეს ცნობილი. გაგზავნა რა ირიჩი, როგორც „ღირსეული“ მუშაკი ყრილობებზე, საოლქო კომიტეტმა ამავე დროს დაავალა განსაკუთრებულ კომისიას (პროკურატურის წარმომადგენლის გარეშე) გამოეკვლია „სამაგალითო“ რაიონული ალმასკომის მუშაობა. კომისია გაემგზავრა დანიშნულების ადგილზე. მაგრამ კომისიის გამგზავრებამდე ირიჩმა რამოდენიმე ბარათი გაუგზავნა თავის დამქაშებს, რომ ღირსეულად მომზადებულიყვნენ რევიზორების „გასაბითურებლად“. ეს ბარათები რამოდენიმედ ჰგავს გოგოლის „გოროდნიჩის“ წერილს სასტუმროდან თავისი მეუღლისადმი. ირიჩმა ერთი ბარათი გაუგზავნა რაიონული ალმასკომის სამეურნეო ნაწილის გამგეს ვინმე დემინს (ამაზე ქვევით).

„ზახარი ილიჩ! მოემზადეთ რევიზიისთვის ისე, რომ არაფერი დაბრკოლდეს. **აქ გადამწყვეტ ბრძოლას ვაწარმოებ. განსაკუთრებით** წესრიგში მოიყვანეთ ბუხჰალტერია... სთხოვეთ ტარასოვს სამი საწოლი ლოგინით და გაგზავნეთ ჩემს ბინაზე. **უთხარით კლავეს, რომ მოემზადოს; მოემზადეთ თქვენც.** ჩამოვა კასპეროვსკი, ტონკონოგი და პტაშნი. **ყველა სახელმწიფო თანხები გაგზავნეთ. ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ ხარჯებს ხარჯთაღრიცხვის გარეშე.** იმედი მაქვს, რომ ყველაფერი რიგზე იქნება. კომისიას განზრახვა აქვს ჩვენთან **დარჩეს არა უმეტეს 2—3 დღისა“.**

შემდეგ მიდის ბარათი თავმჯდომარის მოადგილე ველიკანოვის სახელზე:

„არც ერთი განკარგულება არ უნდა დარჩეს შეუსრულებელი. **ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ ხარჯებს ხარჯთაღრიცხვის გარეშე.** ყველა სახელმწიფო თანხები (თუ ასეთები გაქვთ) **დაუყოვნებლივ გაგზავნეთ ოკრუგში ანდა კახოვკაში...** ჩემამდი მოაღწია ცნობებმა, რომ შენ მანდ რაღაც უთანხმოება გაქვს მოსამსახურეებთან. **თუ ამას ადგილი აქვს, შეეცადე** მოაგვარო ყველაფერი ეს. **თუ გინდ რევიზიის განმავლობაში მაინც,** რადგან ასეთი მოვლენა ჩვენთვის სრულებით არ არის სასურველი... გააფრთხილე მილიცია და ამხ. ბუდკო (მოსამართლე) **სრულიად საიდუმლოდ** იმის შესახებ, რომ ისინიც მზად იყონ და საქმეები მოიყვანონ წესრიგში, რადგან შესაძლებელია, რომ მათ ესტუმროს პროკურორი, და რომ მათ **პროკურორის ჩამოსვლისათვის მაინც ყველაფერი მზად ჰქონდეთ.** თვითნებობას ნურაფერში ნუ დაუშვებ, ნურც პანიკას მიეცემი“...

რევიზიისათვის მზადებას შეუდგა აგრეთვე პარტიის რაიკომის მდივანი გოლუბი, რომელიც სწერს ბარათს მოსამართლე ბუდკოს.

„...ერთი სიტყვით, ჩემი ჩამოსვლისათვის ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ არანორმალურ მოვლენებს (განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ **რაიონული ალმასკომის სალაროს მდგომარეობას**). გატყობინებ, რომ მეტად შესაძლებელია, **ამ დღეებში შენ გესტუმროს პროკურორი,** ამიტომ საქმეები სახალხო სასამართლოში **სრულიად დამაკმაყოფილებელ** მდგომარეობაში უნდა იყოს“...

ვერ გაარჩევ, თუ ვინ სწერს ამას: პასუხისმგებელი პარტიული ამხანაგები თუ შაიკა სისხლის სამართლის დამნაშავეთა, რომლებიც სცდილობენ მოხერხებულათ მოატყუონ საბჭოთა მართლმსაჯულება გაიძვერული ხერხით.

და აი კომისია ჩამოვიდა, რაღაც აღმოაჩინა და შეადგინა ოქმი. მაგრამ კლავა, როგორც სჩანს, შეეცადა კარგათ მიეღო ძვირფასი სტუმრები, და კომისიის რეზოლიუციაში შეტანილი იქნა ასეთი მუხლი:

„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ გამოკვლევამ **მეტად თავზარდამცემი შთაბეჭდილება** მოახდინა ირიჩზე, რაც საშუალებას არ აძლევს მას განაგრძოს მუშაობა მისი ავტორიტეტის დაცემის გამო... კომისია საჭიროთ სთვლის ამხ. **ირიჩი დაუყოვნებლივ მოხსნილი იქნეს კაჭაროვის რაიონული ალმასკომის** თავმჯდომარის თანამდებობიდან და ის ჩამოშორდეს მუშაობას მისთვის შვებულების—**დასვენების** საშუალების მიცემის გზით“.

რაიონულ ალმასკომში კი იმდენი ბოროტმოქმედება იქნა აღმოჩენილი, რომ, ბოლოსდაბოლოს, გადაწყვეტილი იქნა თავმჯდომარე ტეხნიკურ თანამშრომლებამდი **ყველა** დათხოვნილი ყოფილიყო. მაგრამ... შინაურულათ, სასამართლოისა და გამოძიების გარეშე, კაჭაროვიდან ისინი მოხსნეს, მაგრამ სამაგიეროთ ყველას მოუმზადეს ადგილები და აღმატებაც კი მისცეს. ირიჩი, მგონი, ზინოვიევის რაიონის კოოპერატიული კავშირის თავმჯდომარეა, მისი ყოფილი მოადგილე ველიკანოვი—ბერისლავის მუშკოოპის თავმჯდომარეა. თუ აქაც გამომჟღავნდა ხელების ჰუჭყი, მაშინ მათ დამშვიდებით გაგზავნიან სხვა ადგილას. ის გოლუბი, რომელიც პარტიის რაიკომის მდივნათ ყოფნის დროს გოგოლისებურათ ამზადებდა რევიზიას, ეხლა, მგონი, კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანია.

განაგრძეს საქმის გამოძიება და ბევრი რამ საინტერესო აღმოაჩინეს. ის „ზახარი ილიჩი“, რომელსაც ბარათს სწერდა ირიჩი და რომელთანაც ერთად ემზადებოდა პარტიული კომისიის „გასაბითურებლათ“, აღმოჩნდა პოლიციის ყოფილი ბოქაული ვრანგელის ბატონობის დროს. ის ჯაშუშობისათვის გაასამართლა სამხედრო ტრიბუნალმა, და მხოლოდ თავისი პოლიციური წარსულის დაფარვამ იხსნა „ზახარი ილიჩი“ (დემინი) დახვრეტისაგან (მისი საკუთარი განცხადება). ის იყო ირიჩის მარჯვენა ხელი.

იმის მოთხრობა, თუ როგორ ანიავებდენ სახალხო ქონებას კაჭაროვის „სამაგალითო“ რაიონულ ალმასკომში, დიდ დროს წაგვართმევს. **ძარცვავდენ საბავშვო სახლების ბავშვებს,** რომლებსაც ფუთობით ართმევდენ კაკაოს, შაქარს, ცხიმებს და კრუპას. თაღლითობდენ ჩერვონეცის კურსზე, ფულს ხარჯავდენ რაზედაც უნდოდათ, ანგარიში ისე არივ-დარიეს, რომ ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს. პასუხისმგებელი კი არავინ არის. ირიჩს მეგობრები აღმატებას აძლევენ და გადაჰყავთ ზინოვევსკში, პროკურორი კი, რომელიც მოითხოვდა მის გასამართლებას, გააძევეს პარტიიდან და ხერსონიდან.

პასუხისგებაში ამ კომპანიას არ აძლევდენ იმიტომ, რომ შიშობდენ ამით არ დაეცათ პარტიის პრესტიჟი. ნამდვილათ კი პარტიას სახელს უტეხდენ უმოწყალოთ.

საერთოდ, ხერსონში პარტიის პრესტიჟი და რევოლიუციონური კანონიერების საფუძვლები ესმოდათ როგორღაც „ხერსონულათ“. აი შესანიშნავი მაგალითი:

წარსული წლის ზაფხულზე ხერსონის ბელადებმა მოაწყვეს „წითელი ყაზარმის დღე“. მიიღო თუ არა რაიმე წითელმა ყაზარმამ ამ დღიდან—არ ვიცი, მეტად საეჭვოა. დღე კი თითქმის ისტორიული აღმოჩნდა. დაიქირავეს გემი „კარლ მარქსი“ და მოაწყვეს სამხიარულო სეირნობა დნეპრზე. როდესაც მივიდენ ლამაზ და წყნარ ადგილზე, რომელიც ცნობილია თავისი ღვინოებით, ხერსონის ბელადები გაეშურენ ზოგი ღვინის საწყობებისაკენ, ზოგი კიდევ სხვაგან, ზოგი ბანაობდა, ზოგი სეირნობდა. ზოგმა კიდევ თავთავიანთი „დამებით“ თავი შეაფარეს ბუჩქებს. გზაზე მიმავალი მილიციონერი წააწყდა ბუჩქის ძირს ისეთ „ლამაზ კავალერს“, რომელიც არღვევდა უფალი ღმერთის ერთ-ერთ მცნებას. მილიციონერმა რაღაც ჩაილაპარაკა. მგონი „ღმერთმა ხელი მოგიმართოს“, თუ, მგონია, „შეგარგოს!“ კავალერი წამოხტა და სილა გააწნა მილიციონერს. მილიციონერიც არ ჩამორჩა მას და მარჯვე დარტყმით ყბა გაუსივა „ფრთოსან ეროსს“. რას იფიქრებდა მილიციონერი, თუ ის სცემდა პარტიულ ვაჟბატონს, ვინმე ბორისოვს, მომუშავეს საგარეო ვაჭრობის დარგში. გალახულმა ასტეხა ყვირილი. დასახმარებლათ გაეშურენ ყველა ძლიერნი ხერსონის კუთხისა. აქ არის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანიც--სიდოროვი, მილიციის უფროსიც—დიტმარი და სხვები. საერთო კომუნისტური ძალებით სცემეს მილიციონერს. შემდეგ კი გადასწყვიტეს მისი დნეპრში გადაგდება. აიღეს და გადაუძახეს წყალში. მილიციონერმა როგორღაც თავი დააღწია წყალს. მაშინ მას ხელახლა სცემეს და ჩაკეტეს გემ „კარლ მარქსის“ ტრიუმში. გათავდა „წითელი ყაზარმის“ სახელოვანი დღე. დადგა უბრალო საბჭოთა სამუშაო დღე. რა უნდა უყონ ნაცემ მილიციონერს! როგორ დაიცვან პარტიის პრესტიჟი მითქმა-მოთქმისაგან? ხერსონის „მოღვაწეებმა“ მოიფიქრეს მილიციონერის დამწყვდევა საგიჟეთში, საიდანაც მას გაუძნელდებოდა საჩივრის აღძვრა და სიმართლის ძიება. ასეც მოიქცენ. მაგრამ, საგიჟეთში თუმცა მილიციონერს ნაცემი ადგილები მოურჩინეს, მაგრამ მისი, როგორც ჯანსაღი ადამიანის, გაჩერება საგიჟეთში ექიმებმა აღარ მოისურვეს. მაშინ ხერსონის პატივცემულმა მოღვაწეებმა მილიციონერს ხელში შეაჩეჩეს რამოდენიმე ასეული მანეთი, მოუწყვეს შვებულება და სადღაც გაგზავნეს იმ პირობით, რომ ხერსონში აღარ დაბრუნებულიყო, თორემ მას ცუდ დღეს დააყენებდენ.

ეხლა მთელი ეს ისტორია გამომჟღავნდა. მეორე მილიციონერმა სათანადო განცხადება მისცა პროკურორს და საქმეს მსვლელობა მიეცა, თუმცა ის ჯერჯერობით მაინცდამაინც ჩქარა ვერ მიდის. აღმოჩნდა, რომ ნაცემი, დნეპრში გადაგდებული და საგიჟეთში დამწყვდეული მილიციონერი იყო პარტიის წევრი და რაიონული ორგანიზატორიც კი.

ეს საქმე გრძელდება წარსული წლის ზაფხულიდან. ხერსონში უკვე ბეღურებმა დიდი ხანია გაათავეს სახურავებზე ერიამული „წითელი ყაზარმების“ ცნობილი დღის შესახებ. და მთელი მოსახლეობა ხედავს მხეც „მოღვაწეების“ დაუსჯელობას, ხედავს მათ სხვადასხვა საპატიო თანამდებობებზე და სხვადასხვა „დღეებში“ და „კვირეებში“, ისმენს მათ აღგზნებულ-კომუნისტურ სიტყვებს. გაიმსჭვალა თუ არა ამის შემდეგ მოსახლეობა ნდობით საბჭოთა ხელისუფლების მიმართ? არა მგონია, რომ ნდობა ძლიერი იყოს...

დაუკავშირეთ ერთმანეთს ეს სამი აღნიშნული საქმე: ეპიდემიური ბოროტმოქმედება მილიციაში, კაჭაროვის რაიონულ ალმასკომში აღმოჩენილი ბოროტმოქმედებათა შესახებ აღძრული საქმის გამოყოფა სასამართლოს კომპეტენციიდან, მხეცური მოპყრობა მილიციონერისადმი პარტიულ-საბჭოთა ორგანოების მეთაურების მხრიდან. მიუმატეთ ამას პროკურორების საეჭვო ხშირი შეცვლა ხერსონში, და თქვენ მიხვდებით, რომ ხერსონში არ იყო რევოლიუციონური კანონიერების ელემენტარული გაგებაც კი. პარტიის პრესტიჟს მეტად მარტივათ ამაღლებდენ: არ შეიძლებოდა ხმამაღლა ლაპარაკი კომუნისტების მოქმედებაზე, როგორი სისაძაგლეც არ უნდა ჩაედინათ მათ. დამნაშავე კომუნისტზე ზეგავლენის მოხდენის ერთად ერთი საშუალება იყო მისი გადაყვანა სხვა, უფრო მაღალ თანამდებობაზეც კი. პროკურორი, რომელიც სცდილობდა საბჭოთა ორგანიზმის გაჯანსაღებას და რევოლიუციონური კანონიერების დაცვას, ერთბაშათ გადააქციეს „ჯგუფური მიზნებით დაინტერესებულ მუშაკათ“ და „მასებისაგან მოწყვეტილ მეშჩანინათ“. მის ბრალმდებელათ კი გამოდის ისეთი ტიპი, როგორიც არის საოლქო მილიციის უფროსი დიტმარი, რომელიც მონაწილეობას იღებდა მილიციონერის ცემაში და რომელიც ეხლა დაპატიმრებულია სხვა და სხვა ბოროტმოქმედებისათვის.

ტყუილა კი არ უჭირავს ხერსონის ოლქს ასეთი დიდი ადგილი ოდესის გუბერნიის სამსახურებრივ ბოროტმოქმედებათა სტატისტიკაში.

„ხერსონის“ ზნე-ჩვეულებანი აღმოფხვრილი უნდა იქნეს ძირიან-ფესვიანათ.

ამხ. სოლცის მოხსენება პარტიულ კონფერენციაზე რევოლიუციონური კანონიერების შესახებ სავსებით დროული და სადღეისო იყო.

ლ. ხოსნოვსკი.

მოსკოვის „პრავდა“.

ა. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭო სხინფორმაციო-განყოფილების ბიბლიოთეკა

წითელი დარბაზობა

გუშინ, დღის 11 საათზე, ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში რობერტ ხოჯსონმა, ოსმალეისთან ერთად ინახულა საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინი.

საუბრის დროს, რომელიც ერთ საათამდე გაგრძელდა, რობერტ ხოჯსონმა განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს დარჩეს თბილისში რამდენიმე დღე და სურს დაათვალიეროს ქალაქის მნიშვნელოვანი წარმოებანი, ქალაქის მიდამოები და განსაკუთრებით ქართული სოფელი.

ორშაბათს რობერტ ხოჯსონი და ოსმალიე საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისრის რწმუნებულთან ერთად მიემგზავრება ზემო-ავჭალაში ჰიდრო ელექტრონის სადგურის საამშენებლო მუშაობის დასათვალიერებლად.

დღეს რობერტ ხოჯსონს განზრახული აქვს ეწვიოს ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობის წევრებს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

შეღავათები წითელარმიელებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადში

მოსკოვი. 22 მაისი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა, საბჭოთა კავშირის რევოლუციონურ-სამხედრო საბჭოსთან შეთანხმებით, დააწესა წითელარმიელებისათვის შემდეგი შეღავათები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი დებულების თანახმად:

ყველა ჯარის ნაწილებს ევალებათ სასწრაფო წესით დაამზადონ ერთნაირი ფორმის მოწმობები, შეავსონ ისინი სათანადო ცნობებით და გადაუგზავნონ წითელარმიელთა მეურნეობებს.

გადასახადების გადამხდელთა სასოფლო სიების შედგენის დროს ეს მოწმობები წარედგინებათ სათემო ალმასკომს, რომლებიც ამ მოწმობათა მიხედვით ვალდებული არიან მისცენ წითელარმიელებს შეღავათები, რომლებიც გათვალისწინებულია დებულებაში წითელარმიელთა შესახებ.

გლეხკორ კუპრიკის მკვლელების გასამართლება

სტარომინსკი. 22 მაისი. 20 მაისს გაიმართა მხარეების კამათი. საზოგადოებრივი ბრალმდებელი მოითხოვდა სასამართლოსაგან სასტიკ სასჯელს ბრალდებულების მიმართ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საბჭოთა საზოგადოებრიობის განვითარება სოფლად და დაცული იქნეს გლეხობა მაწანწალების დესპოტიზმისა და ტერორისაგან. დამცველები უარყოფენ მკვლელობის პოლიტიკურ ხასიათს და ილაშქრებდენ უმაღლესი სასჯელის გამოყენების წინააღმდეგ.

გლეხკორის მკვლელებს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა

21 მაისს სასამართლომ გამოაქვს განაჩენი: „იოსებ ბერეჟნოის და მარჩენკოს მიესაჯათ დახვრეტა, სერგო ბერეჟნოის—პირობითი დახვრეტა 10 წლით დაპატიმრებით შეცვლით, მურდასტოვს და რუდენკოს 8 წლის ციხე, კირიჩენკოს და კავალოვს—5 წლის ციხე“.

პარტიული ცხოვრება

პროპაგანდისტთა ახალი კადრის მოსამზადებლად

ჩვენ ძლიერ განვიცდით პროპაგანდისტების ნაკლებობას. ამავე დროს მათზე მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

წელს ქალაქის პარტსკოლებში ამ მხრივ დიდი კრიზისი არსებობდა. ხშირად რომელიმე პასუხისმგებელი ამხანაგი, რომელსაც ავალებდენ პარტსკოლებში მეცადინეობის ხელმძღვანელობას — სხვადასხვა საქმეებით დატვირთვის გამო, იძულებული იყო გაკვეთილები გაეცდინა. სოფლად მუშაობის დროს პროპაგანდისტების ნაკლებობა კიდევ უფრო შესამჩნევია, რადგან ჩვენი გლეხობის გაძლიერებული კულტურული მოთხოვნილებანი ჩვენი პარტიის წინაშე გარკვევით აყენებენ საკითხებს პირველ რიგში სოფლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისას. ამავე დროს როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მათი რიცხვი ერთობ მცირეა და არსებულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. აი სწორედ ამისათვის პარტიამ უნდა შესძლოს პროპაგანდისტთა ახალი კადრის მომზადება.

ცხადია, მისი მოცემა შეუძლია პარტიულ მასას, მაგრამ ამ დარგში სამუშაოდ ყველანი როდი გამოდგებიან. აქ არაა საკმაო ცოდნა, საჭიროა მეორე თვისებაც ჰქონდეს ამა თუ იმ ამხანაგს—ის უნდა მოხერხებულად მიუდგეს აუდიტორიას, გაიგოს იგი და შესძლოს მისი დაინტერესება ამა თუ იმ საკითხით.

ერთ-ერთ საშუალებად პროპაგანდისტების მომზადებისათვის სათანადო გადასამზადებელი კურსების გახსნა უნდა ჩაითვალოს, სადაც ამხანაგები კიდევ უფრო შეავსებენ თავიანთ ცოდნას და გაეცნობიან აგრეთვე სწავლების სათანადო ხერხსაც.

სასურველია ასეთ კურსებზე წარმოდგენილი იქნენ ისეთი ამხანაგებიც, რომელთაც წელს დაასრულეს პოლიტ-სკოლები. ხოლო ასეთი პირები კი ჩვენს პოლიტ-სკოლებში საკმაოდ მოიპოვებიან.

ამრიგად პარტიის ერთ-ერთ უახლოესი ხანის მორიგ ამოცანას—პროპაგანდისტთა ახალი კადრის მომზადება უნდა შეადგენდეს.

ა. კ—ძე.

კომკავშირის მუშაობის გასაძლიერებლად

პარტიის მე-14 კონფერენციამ მთელი რიგი საყურადღებო დადგენილებანი გამოიტანა კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციების შემდგომი მუშაობის გასაჯანსაღებლად.

კონფერენციამ გარკვევით აღნიშნა ერთი უახლოესი ამოცანა, რაიც იმაში მდგომარეობს, რომ „საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობით, განსაკუთრებით სოფლად, კომკავშირმა უნდა შესძლოს თავისი ავტორიტეტის კიდევ უფრო გაძლიერება გლეხობისა და მუშების თვალში“.

ამ ამოცანის შესრულება კიდევ უფრო აუცილებელია, რადგან „კომკავშირის უშუალო ხელმძღვანელობა პიონერთა ორგანიზაციების მუშაობაში თანდათანობით ფართოვდება, რასაც პარტიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს“.

ასე რომ ზემოხსენებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. უმთავრესი პირობა კი ამ ამოცანის განხორციელებისა კომკავშირელთა ლენინური აღზრდის გაძლიერებაში უნდა ვეძიოთ.

ხოლო ამისათვის კონფერენციამ საჭიროდ მიიჩნია ადგილობრივ პარტორგანიზაციებს დაევალოს თავისი წრიდან გამოყოს სათანადო კადრი პროპაგანდისტ-აგიტატორებისა, რომლებიც კომკავშირის აღმზრდელობითი მუშაობას უხელმძღვანელებენ.

კომკავშირის ისტორიული დანიშნულება, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის განვითარებამ დააკისრა მას—მშრომელი ახალგაზრდობის ლენინური აღზრდა და მისი მოწინავე ნაწილის თავის ორგანიზაციებში დარაზმვაა. ეს კი კომკავშირს ავალებს თავისი აქტივის კიდევ უფრო გაძლიერებას, ახალი სათანადო პარტიული ცოდნით შეიარაღებული კომკავშირის მუშაკების მომზადებას, ხოლო ამ მომზადებას უნდა უხელმძღვანელოს პარტიამ კიდევ უფრო მეტად, ვინემ აქამდის, რადგან აქეთ მოუწოდებს მას მე-14 პარტკონფერენციაც.

—ი. —ე.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ა. ლ. კ. კ. ჩხარის რაიკომის მუშაობა

ჩხარის რაიონი აერთიანებს 14 უჯრედს. აქედან 3 მოწაფეთა უჯრედია, 11 კი გლეხური; სულ წევრთა რიცხვი აღწევს 350-ს.

ჩხარის ცენტრალურ უჯრედთან არსებობს პირველი და მეორე კატეგორიის წრეები, რომლებშიაც ჯერჯერობით მუშაობა სათანადოთ ვერ მიმდინარეობს.

სარაიონო პროფ-კოლექტივში ირიცხება 20 ამხანაგი. უჯრედებში ჩასატარებელი საკითხები პირველად ირჩევა თვით პროფ-კოლექტივში.

კომკავშირელების გავლენა მასის თვალში საგრძნობლად გაიზარდა. კომკავშირელები ჩაბმული არიან საზოგადოებრივ მუშაობაშიაც.

მოწაფეთა უპარტიო ახალგაზრდობა ძლიერ დაინტერესებულია კომკავშირის მუშაობით, ისინი ესწრებიან უჯრედის ღია კრებებს. თვით ჩხარის მოწაფეთა უჯრედთან არსებობს სხვადასხვა წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობს თვით უჯრედის აქტიური ამხანაგები და რაიკომი.

რაიონში არსებობს აგრეთვე ორი ქალიშვილთა წრე, სადაც მუშაობა კარგადაა დაყენებული. ამ ბოლო ხანებში რაიკომს განზრახული აქვს ქალიშვილთა მესამე წრის დაარსებაც თუხის 7 წლედის უჯრედთან.

ადგილობრივ არსებობს ბ. კ. ორგანიზაცია, რომელშიაც ირიცხება 120 ბავშვი. ბავშვებს არა აქვთ სავარჯიშო ტანსაცმელი. საჭიროა მაზრკომმა ამას მიაქციოს ყურადღება ერთდროული დახმარების სახით. რამოდენიმე ხნის შემდეგ განზრახულია დაარსებულ იქნეს ბ. კომ. ორგანიზაცია თერჯოლის თემშიაც.

რაც შეეხება ბატრაკული ახალგაზრდობის შორის მუშაობის გაძლიერებას, ამ მიზნისათვის თვითეულ თემში რაიკომის მიერ გამოყოფილია რწმუნებულები. თვით ჩხარში უკვე დაარსდა პროფუჯრედი, სადაც ირიცხება 15 მოჯამაგირე. დანარჩენ თემებში მუშაობა ძალზედ მოისუსტებს.

ვ. ხიმონგულოვი.

ჯანსახკომების ინსპექტორთა ყრილობა

მეექვსე და მეშვიდე სხდომები

მოხსენებები ადგილებიდან

თბილისის მაზრა (მომხსენებელი **ამხ. დევიძე**) მაზრაში საექიმო საქმის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. მომავალი წლიდან ყველა საფერშლო სადგური გადახალისებულ იქნება საექიმო პუნქტებად. სოციალური ავადმყოფობის დროს მცხოვრებთ ეძლევათ უფასო დახმარება. მომავლისათვის განზრახულია მცხოვრებთ მიეცეთ უფასო დახმარება ყოველგვარი ავადმყოფობის დროს.

შორაპნის მაზრა (ამხ. ჰიჭინაძე) საექიმო სანიტარულ საქმის მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა მაზრაში სულ 26 საექიმო პუნქტია. დაზღვეული და ღარიბი გლეხობა სამკურნალო დახმარებას და წამლებს ღებულობენ უფასოთ მაზრას ჰყავს 16 ბებია ქალი და სამკურნალო დაწესებულებებს აქვთ საბებიო ხელსაწყოები. გლეხკომები დიდი აქტივობას იჩენენ ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ზუგდიდის მაზრა (ამხ. ჩხილარია). სამაზრო ალმასკომი ხარჯთაღრიცხვის მეექვსედს ჯანმრთელობაზე ხარჯავს. საამბულატორიო დახმარება უფასოა. ციებ-ცხელება ძლიერ არის გავრცელებული. 8—9 თვის განმავლობაში აღრიცხულია 10 ათასამდე ციებ-ცხელებიანი. ქინაქინის მიცემა შეძლებისდაგვარად სწარმოებს. გაცემულია 22 კილო ქინაქინა.

ქუთაისის მაზრა (ამხ. ლოხაბერიძე). სამაზრო ალმასკომმა იმთავითვე იკისრა საფერშლო და საექიმო პუნქტების შენახვა. საამბულატორიო დახმარება უფასოა. უფასო დახმარება ეძლევათ აგრეთვე შინ ღარიბ გლეხებსა და დასახიჩრებულებს. მეანე-ქალების ნაკლებობის გამო დიდი გასავალი აქვთ სოფლის მეანე ქალებს. ქუთაისის მაზრაში ყველაზე მეტად არის გავრცელებული ჭლექი ტუბერკულოზი. 3 თვეში აღრიცხულია 468 ავადმყოფი. დაარსებულია ჭლექის საწინააღმდეგო ამბულატორია.

სენაკის მაზრა (მომხსენ. ამხ. ჩხეტია). თითქმის ყველა ექიმები და ფერშლები შედიან წევრებად სათემო საბჭოებში. ეს გარემოება ხელს უწყობს საექიმო-სანიტარულ საქმეს, რომელსაც ამ ბოლო დროს გაუმჯობესება ეტყობა. ყველა საფერშლო პუნქტი გადაკეთებულია საექიმო პუნქტად. ამ აფთიაქების სახმედვაჭრობის ხელში გადასვლამ საგრძნობლად გააუმჯობესა მცხოვრებთათვის წამლეულობის მიწოდების საქმე.

რაჭის მაზრა (ამხ. ს. ბაქრაძე). მაზრაში ავადმყოფებს უფასოდ ეძლევათ წამლეულობა. საჭიროა ჰრებალოში გაიხსნას საავადმყოფო. მაზრას დიდი ყურადღების მიქცევა ესაჭიროება.

დაზღვეულთათვის დაარსებულია განსაკუთრებული ამბულატორია. სოფლის მკითხავებს—ექიმბაშებს მაზრაში კიდევ გასავალი აქვთ.

ფოთი (მომხსენ. თურქია) ქალაქი საკმარისად არის უზრუნველყოფილი საექიმო დახმარებით და თბილისს შემდეგ უჭირავს პირველი ადგილი. ექიმბაშობა ქალაქში არ არის, სამკურნალო დახმარების ქვეგანყოფილება გაუქმებულია. მის ნაცვლად მუშაობს ჯანმრთ. ინსპექტორი; როგორც დაზღვეულნი, ისე ღარიბნი უზრუნველყოფილნი არიან უფასო მედდახმარებით.

მომხ ამხ შიუკაშ

დუშეთის მაზრა. (მომხსენებელი **ამხ. შიუკაშვილი**). მედდახმარება მაზრაში დამაკმაყოფილებელია. ყოველ 10 ავადმყოფზე ამბულატორია იძლევა უფასო წამლებს. დაზღვეულნი უზრუნველყოფილნი არიან დახმარებით. სანიტარული მდგომარეობა, რომელიც გასულ წლებთან შედარებით გაუმჯობესდა, კიდევ მოიკოჭლებს. ამ ჟამად მაზრაში სწარმოებს ყვავილის აცრა და ქინიზაცია. მაზრის სამხრეთ ნაწილში სამკურნალო ქვეგანყოფილებამ საავადმყოფოსთან მოაწყო ახტალის ტალახით მკურნალობა.

თელავის მაზრა. (მომხს. ამხ. ფირალოვი). წინად ამ მაზრის სოფლები დაპყრობილი ყავდათ სოფლის მკითხავ-ექიმბაშებს, ეხლა მათი გავლენა შესუსტებულია. ლოზუნგი, „პირი სოფლისაკენ“, მტკიცედ ტარდება ჯანმრთელობის საქმეში. საექიმო საქმის სოფლად წარმატებისათვის საჭიროა ისეთი ექიმები, რომელთაც ეხერხებათ მიდგომა გლეხებთან, საზოგადო საქმეებით დაინტერესებული ექიმები. დაზღვეულთა საჭიროებისათვის მაზრაში საავადმყოფოსთან გამოყოფილია საწოლების 50 პროც., მძიმე ავადმყოფნი დახმარებას ღებულობენ შინ. სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური საქმე უკანასკნელად უმჯობესდება.

ბრძოლა მალარიასთან

(პროფესორ ვორონინის მოხსენება)

მალარია საქართველოში ფრიად გავრცელებულია. არის ადგილები, სადაც მცხოვრებნი 90 პროც. დაავადმყოფებულია. სამწუხაროდ არ არის სწორი ცნობები მალარიის შესახებ წარსულში. საჭიროა მოხდეს ცოტად თუ ბევრად ციებ-ცხელებით დასნეულებულ ადგილების გამოკვლევა. ბრძოლა უნდა სწარმოებდეს სამკურნალო საშუალებებით. რაც შეეხება ეპიდემიას, ამ შემთხვევაში დიდს როლს თამაშობს კოღო, კოღო მით უფრო საშიშია, რამდენადაც დიდია ავადმყოფთა რაოდენობა. თვით კოღოებთან ბრძოლა მეტად ძნელია; იტალიამ სცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა, და მიმართავს ისევ ქინაქინით მკურნალობას. კოღოებთან ბრძოლა შეიძლება წარმატებით ვაწარმოოთ თვით მოსახლეობის მონაწილეობით; საამისოდ მოსახლეობას უნდა აუხსნათ კოღოების გამრავლების საფრთხე.

კოღოების საგრძნობლად შემცირებას ხელს უწყობს ჭაობების ამოშრობა; ამერიკაში ამ ხერხით მიაღწიეს დიდ შედეგებს. უნდა აღინიშნოს, რომ კოღოები კვერცხს სდებენ ბინების ახლო—პატარა გუბეებში, რადგანაც კოღოებს შორს ფრენა ეზარებათ. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საცხოვრებელი ბინების ახლო მდებარე გუბეების ამოშრობას.

ჭლექის სამდღეული

3 დღე—29, 30 და 31 მაისი დანიშნულია ტუბერკულოზის სამდღეულის ჩასატარებლად. სამ დღეულის ჩატარება თბილისის და მისი მაზრის ფარგლებში დაკისრებული აქვს ქალაქის ჯანმრთელობის სანიტარ. განათლების ქ | განყოფილებას, საქართველოს ფარგლებში—ჯანმთელობის სახ. კომისარიატს და ა | კ. რკინის გზებზე რ. გ. სანიტარულ განათლების ქ | განყოფილებას.

სამდღეულის მთავარი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი არის თბილისის ალმასკომთან არსებული ჭლექის სამდღეულის ჩამტარებელი ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც აქვს სააგიტაციო-ხარედაქციო, საფინანსო-სამეურნეო და საორგანიზაციო სექციები.

ადგილებზე სამდღეულის ჩასატარებლად ცეკას მითითებით ეწყობა სარაიონო და საუბნო კომიტეტები, რომლებშიაც შევლენ ადგილობრივი პოლიტიკური და საზოგადოებრივი დაწესებულებების წარმომადგენლები. კომიტეტში შესვლა სავალდებულოა ჯანმთელობის განყოფილებების, პოლიტიკურ განათლების, მედსანშრომის, დამზღვევი კასის, ქალთა განყოფილების და ახ. კომკავშირის წარმომადგენელთათვის.

შემოსავალი სამდღეულიდან მოხმარდება ჭლექის საწინააღმდეგო საშუალებათა გაძლიერებას.

სამდღეულის ჩასატარებლად დღეს უკვე სწარმოებს ენერგიული მზადება.

თბილისის საბჭომ სამდღეულისათვის გამოსაცემი სანიტარულ ლიტერატურისათვის გადასდო 4000 მანეთი. მზადდება სამდღეულისათვის აგრეთვე სპეციალური კრებული, ფურცლები, პლაკატები, ლოზუნგები და სხვ.

სამდღეულის ჩატარების დროს იწარმოებს შემოწირულების ყულაბებით შეგროვება, რომლისთვისაც მოწვეული არიან პროფკავშირების წევრები, ქალთა განყოფილება, კომკავშირი. იწარმოებს აგრეთვე გაყიდვა ჟეტონების და გვირილის ყვავილების, რომელიც დამზადებულია დიდი რაოდენობით.

განზრახულია აგრეთვე სანიტარულ-საგანმანათლებლო წარმოდგენების მოწყობა და მუშათა კლუბებში ლექცია-მოხსენებების წაკითხვა.

სამდღეულს მიეცემა დიდი საზოგადოებრივი ხასიათი, მასში მუშათა ფართე მასების, სავაჭრო-სამრეწველო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ჩაბმით.

ბრძოლა უმუშევრობასთან

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა საამშენებლო სეზონის დადგომის გამო, წინადადება მისცა რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს გააძლიერონ ცნობების მიწოდების ტემპი საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ. შრომის კოლექტივების მოსაწყობად და გასაფართოვებლად გაღებული თანხები საამშენებლო სეზონის პერიოდში დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს და დაეგზავნოს საზოგადოებრივ სამუშაოების განკარგულებაში. უკანასკნელ განკარგულებით საზოგადოებრივი სამუშაოების და შრომის კოლექტივებში მონაწილეობის მისაღებათ მიწვეულნი არიან მოზარდნი და ქალები.

უმუშევართა ექსპერტიზა

შრომის ბირჟების გამომკვლევმა კომისიებმა უკვე დაასრულეს მუშაობა ბაქოსა და თბილისში. კომისიის მიერ შევსებული ცნობები მოწმობენ, რომ ბაქოს ბირჟაზე აღრიცხულ უმუშევრების ექსპერტიზას დადებითი შედეგები მოუცია. თბილისის ბირჟაზე კომისიის მიერ წარმოებულ ექსპერტიზის შედეგები ვერ არის დამაკმაყოფილებელი. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატები იღებენ სათანადო ღონისძიებებს უმუშევართა გამოცდა-ექსპერტიზის გასაძლიერებლად.

ორშაბათს, მაისის 25-ს, საღამოს 6-საათზე,

სახალხო სახლში მოწვეულია

თბილისის საბჭოს პლენუმის

სხდომა

დღის წესრიგი:

1. მიმდინარე საანგარიშო წლის 1 ნახევრის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

დასწრება საბჭოს ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა. № 1203—1—1

პრეზიდიუმი

საქართველოს ცაკში

წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამმართველოს დაარსება.

საქ. ცაკმა დაამტკიცა საქ. წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამმართველოს დაარსება.

დახმარება.

ცაკმა გადასცა სახკომსაბჭოს დასკვნისათვის, სოც. უზრ. კომისარიატის შუამდგომლობა აგვისტოს გამოსვლებში დაღუპულთა ოჯახებისათვის პენსიების მისაცემათ 4,500 მ. გადადების შესახებ.

1905 წ. რევოლიუციის

20 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლათ ცაკმა აირჩია კომისია ამხ. ამხ. ფ. მახარაძის, მ. კახიანის, თალაკვაძის, მარ. ორახელაშვილის, ბახტაძის, დარახველიძის, ყურულაშვილის, კანდელაკის, ლ. რუხაძის და ასრიბეკოვის შემადგენლობით.

საქ. სახალხო კომისართა საბჭოში

დასასვენებელი სახლების გადაცემა პროფკავშირთა საბჭოსათვის.

ეკონომიური საბჭოს ა. წ. მაისის 4-ს დადგენილების თანახმად, სახკომსაბჭომ შესაძლებლად სცნო გადაეცეს საქ. პროფკავშირთა საბჭოს უსასყიდლოდ და განუსაზღვრელი ვადით ყველა სახლები ქეჩხობში (წაღვერი) და თითო სახლი სურამში და ბორჯომში დასასვენებელი სახლების მოსაწყობად.

სახკომსაბჭომ დაავალა

ამხ. ს. ჯუღელს სახკომსაბჭოს მიერ 1924 წ. ოქტომბერის 29-ს დადგენილების სისრულეში მოყვანა საქარის და კახეთის ვაზის საცდელ-საჩვენებელ სადგურების შესანახად საჭირო თანხის გადადების შესახებ.

მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევა.

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევის შესახებ მოწონებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ.

ბორჯომის რაიონის საძოვრების მოწესრიგება.

საქ. საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, ბორჯომის რაიონის საძოვრები დარჩა საკურორტო სამმართველოს განკარგულებაში, მასვე დაევალა მათი ექსპლოატაცია მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად.

საძოვრების გადასახადის რაოდენობას და მათი გაცემის წესის პირობებს დააწესებს მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატი.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს ევალება კონტროლი გაუწიოს საკურორტო სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო და სატყეო განყოფილებათა მოქმედებას საძოვრების ექსპლოატაციის საქმეში.

ქრონიკა

— **საქ. ცაკთან არსებულ** საბჭოთა ამშენებლობის შემსწავლელ თათბირის პრეზიდიუმმა დაადგინა თავის საჭიროებისათვის სახ. კომისართა საბჭოდან გამოითხოვოს 5 ათასი მან.

— **სათემო ალმასკომების** მდივნების მოსამზადებელი კურსები გაიხსნება ახლო ხანში თბილისში.

— **მაზრებში ადგილობრივ** საბჭოთა აპარატების მუშაობის გამოსაკვლევად და შესასწავლად, ცაკთან არსებულმა საამშენებლო თათბირმა დაადგინა გააგზავნოს 17 პასუხისმგებელი მუშაკი.

— **საქონლის ჭირთან ბრძოლის** მიზნით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მთელ საქართველოში აუცრეს 30,659 საქონელს.

— **თბ. ბაქტერიოლოგიურმა** ლაბორატორიამ გასულ წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის აპრილამდე დაამზადა 85,420 ვაქცინა ციმბირის წყლულის საწინააღმდეგოთ.

— **კულტურულ მეურნეობის** საწარმოებლად წელს მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა სხვადასხვა სოფლებში გამოყო 13 ნაკვეთი მიწა, სივრცით 64 დესეტინა.

— **ტრამვაის დირექცია**, ამ დღეებში კიევის კაბელის ქარხნიდან, მიიღებს კაბელის პარტიას ტრამვაის საჭიროებისათვის.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** 15 მაისამდე ამიერ-კავკასიაში სას.-სამეურნეო გადასახადი შეკრებილია: საქართველოში—2.972,541 მან., აზერბეიჯანში—3,503,616 მან. სომხეთში—1.594.106 მან. სულ მთელ ამიერ-კავკასიაში—8,070,263 მან.

— **საექიმო კომისიამ** 22 მაისამდე შეამოწმა აგარაკებზე წასვლის მოსურნე 1750 დაზღვეული ავადმყოფი.

— **სამალარიო სადგურები.** ამ ჟამად მთელ საქართველოში მუშაობს სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფი 7 სამალარიო სადგური.

— **თვალის სახელოსნოსათვის.** ჯანსახკომმა გერმანიაში შეიძინა თვალის სახელოსნოსათვის საჭირო სათვალეების საკეთებელი მინები.

— **სოფლის მეურნეობის** მავნეებთან ბრძოლის სახელმძღვანელოდ სენაკის მაზრაში მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა მიავლინა ერთი ინსტრუქტორი.

— **მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის** ცნობით, აპრილის განმავლობაში ოსიაურის საბეითლო-ბაქტერიოლოგიურმა სადგურმა დაამზადა 20,295 გრამი ღორის ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

— **ზედმეტი მიწის მქონეებს** მიმდინარე წლის განმავლობაში მიწად-მოქ. კომისარიატმა ჩამოართვა 381 დესეტინა მიწა, მიწის არა მქონე გლეხებისათვის დასარიგებლათ.

— **სოც. დაზღვევის** სამმართველოს დადგენილებით ის პირები, რომლებიც შეთავსებით მსახურობენ რამდენიმე ადგილას, დაზღვეული უნდა იქნას თვითეულ სამუშაო ადგილზე.

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 24 მაისს, დღის 12 საათზე თბ. პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (კამოს ქ., № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება ინჟ. ვლ. ავალიანის მოხსენება შემდეგ თემაზე: „ჩვენი ტყეების მდგომარეობა და სატყეო მეურნეობის რაციონალურად დაყენების საკითხი“. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

შემთხვევები

— **ქალაქში წესრიგის დარღვევისათვის** შეიპყრეს და 30 მან. დააჯარიმეს თითო მ. ლიგაძე, ა. ტატულოვი, დ. კასოვსკი, ტ. არუტინოვი და ბ. ოვანესოვი.

— **შეიპყრეს** ვინმე ვ. ჩხაიძე რომელსაც ბრალდება მთელი რიგი მსხვილი ქურდობის ჩადენა. მას თან აღმოაჩნდა ქურდობისათვის გამოსადეგი სხვა და სხვა იარაღები.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით 21 მაისს არსენალის ქ. № 5 გაქურდეს ალექსი რომანიშვილის ბინა.

— **გამოტაცება.** 21 მაის ბაყალხანაში ისაკ ოგანოვს აკოფ ლურთიკანიანმა მოსტაცა ნაბადი. ქურდი შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 21 მაისს პლეხან. პრ. № 117 ანდრია პროკლპჩუკის ბინიდან მოიპარეს 74 მან. ნივთები.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

„მარიცა“

მუსიკალური კომედია „მარიცა“ გამოცხადებულია როგორც კომპოზიტორ კალმანის „საუკეთესო“ ნაწარმოები; დადგმას წინ უძღოდა რეკლამა, რომ „მარიცა“ მეტათ პოპულიარულია ლენინგრადში და მოსკოვშიო.

შეიძლება კალმანის ეს ნაწარმოები მართლაც პოპულიარულია, მაგრამ ეს უნდა მიეწეროს არა ნაწარმოების ღირსებას, არამედ შემსრულებელთა შემადგენლობას. შემსრულებელთა იმ შემადგენლობით კი, რომელსაც ადგილი ჰქონდა კვირას, ამ ოპერეტას არ შეუძლია მაინცდამაინც დიდი სახელი მოიხვეჭოს.

უპირველეს ყოვლისა, დიდი შეცდომაა საერთოდ ოპერეტის დადგმა ისეთი ძალებით, რომლებიც მომზადებული არ არიან ხელოვნების ამ დარგისათვის, და მითუმეტეს სცენის მოყვარეთა ძალებით, რადგან არ შეიძლება სხვანაირათ შევაფასოთ ნოვგოროდოვას შესრულება—სუსტია მისი სიმღერაც და თამაშიც.

ვოლჩანეცკაიაც აგრეთვე თავის ადგილზე არ იყო ლიზას პარტიაში.

ლადო კავსაძე მეტათ მუსიკალურათ მღერის, მაგრამ გრაფ ტასილოს პარტიის სცენიური მხარის გადმოცემაში ვერ სცილდება ტრაფარეტს. საჭიროა გრიმის ხელოვნების შესწავლა, რომელსაც კავსაძე ანგარიშს არ უწევს.

ნიროვი აშარქებს პონულესკოს პარტიაში, მას უკან არ რჩება დიმოვიც გრაფ ზუპანის როლში.

კარგია ერანოვი ბომ ბერკოს როლში; როლი არ მოითხოვს სცენიურ დამუშავებას და ერანოვის გამარჯვება მხოლოდ იმაშია, რომ ის საუცხოვოთ უკრავს სკრიპკაზე ამ როლში.

სუსტათ არის დადგმული ბალეტი ლინევიჩის მიერ.

მუსიკოსი.

— **ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“-ს** № 11 გამოვიდა. ამ ნომერში დაბეჭდილია დამატებად „თვითმშრომელთა ხმა“, № 1, აგრეთვე პიესა სანდრო ყანჩელისა „ორი ქორწილი“, წერილები, ლექსები და სხ.

— **აკაკის ძეგლის** ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად „თეატრი და ცხოვრება“-მ გამოსცა აკაკის ბარელიეფი, რომლის შეძენა შეიძლება ჟურნალის რედაქციაში.

დღეს კინოებში:

— აპოლო—„უდაბნოს გუგუნი“.
— არფასტო—„ორი ობოლი“.
— სოლეი—„ორი ობოლი“.
— მინიონ—„კატორღელი კაიენიდან“.
— პალას—„ტენეს მოტაცება“ მე-2 სერია.
— თვითმფრინავი—„ციხე და სასახლე“.

მუშათა ცხოვრება

მოგვაშორეთ თავხედი ექიმი

(ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების საყურადღებოდ)

მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მთელი ყურადღება მიპყრობილია მუშა-მოსამსახურეების საკეთილდღეოდ, მაინც მოიპოვებიან ისეთი ექიმები, რომელნიც გულგრილად ეპყრობიან როგორც თავის მოვალეობას, ისე მუშა-მოსამსახურეებს.

აი მაგალითიც: 5 აპრილს ალმასკომის თანამშრომელ ხამაშურიძესთან მოწვეული იყო რაიონული ექიმი ტ. ს. ქიქოძე, მაგრამ ის არამც თუ იმავ დღეს, არამედ მეორე დღის სამ საათამდის არ მობრძანდა. 6 აპრილს, როდესაც ავადმყოფი ცუდათ შეიქნა, უკანასკნელის დედა წავიდა ექიმის ბინაზე და სთხოვა, რომ ექიმი შემოსულიყო; 3 საათზე ექიმი მოვიდა, ნახა ავადმყოფი და სცნო მისი სერიოზული ავადმყოფობა (ფილტვების კატარი) და მისი განთავისუფლება 10—12 დღით, თუ ავადმყოფობას შედეგი არ მოყვებოდა და თანაც დაიბარა, რომ გამოეტანათ ბიულეტენი და მესამე დღეს შემოივლიდა. გავიდა სამი დღე, ექიმი კი არსად სჩანდა, სამსახურისთვის კი ცნობა საჭირო იყო, რომ ამხ. **ხამაშურიძე** ავად იყო, მეოთხე დღე ავადმყოფის დედამ კვლავ ბიულეტენით მიაკითხა ექიმს, მაგრამ ამაოდ; იქ ის მხოლოდ ლანძღვა-გინებით და მუქარით გამოისტუმრა ექიმმა.

ბ-ნი **ქიქოძე** ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ დღეს ის მუშა-მოსამსახურეების საკეთილდღეოდ მუშაობს.

საჭიროა ეს მას შევაგნებინოთ ჩვენი წითელი ცოცხით.

ბ-ნი ქიქოძე ერთხელ მოხსნილი იყო სამსახურიდან ყალბი მოწმობის გაცემისათვის, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ის კვლავ განაგრძობს მუშაობას.

მემუხრუჭეშვილი.

წითელი მელნით აკრძალულია თუ არა წერა?

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

20 მაისს პირველ სამილიციო უბანში ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: მოქ. **მარიამ გოგატიშვილმა** (გუნიბის ქ. სახ. № 27) კომისარიატში მიიტანა თავის სახლის წიგნაკი რეგისტრაციაში გასატარებლათ. წიგნაკი უკან დაუბრუნეს რეგისტრაციაში გაუტარებლათ. უმთავრეს მიზეზად დაასახელეს ის, რომ წითელი მელნით არის დაწერილიო.

გთხოვთ აგვიხსნათ: წითელი მელნით აკრძალულია თუ არა წერა?

ინფ. მეზობელი.

მხურვალე მადლობა ჩვენს ლექტორს

18 მაისს განათლების მუშაკთა სახლში დამთავრდა ამხ. კ. ოკუჯავას ლექციები.

მსმენელი მასწავლებლები უაღრესად კმაყოფილი დარჩენ ლექციებით, ლექტორი ყოველი მასწავლებლისათვის საინტერესო საკითხს პარტიის ისტორიიდან განმარტავდა. ჩვენ, მისი მსმენელნი, უაღრეს მადლობას უცხადებთ ლექტორს.

ასეთი ლექტორი შემდეგში მრავალ მასწავლებლებს მიიზიდავს.

მსმენელთაგანი.

უნდა მოახვედროთ რკინის ცოცხი.

(პროკურატურის და საელექტრო-ტეხნიკურ სამმართველოს საყურადღებოთ).

რკ. გზ. ცენტრ. ელექტრ. სადგურის მემანქანე **გ. მილლერი** (ძროხების პატრონი და რძით მოვაჭრე) მუშა-მოსამსახურეებს წესიერად ვერ ექცევა. იყო მაგალითი, რომ სრულიად უდანაშაულო **ივ. ხოშმარაშვილს** გაარტყა და ისე გადააგდო, რომ უკანასკნელს ყური დაუშავდა.

საჭიროა ასეთ მოსამსახურეებს მოხვდეთ რკინის ცოცხი.

მუშკორი უხილავი.

აქ საჭიროა ქართული ენის მცოდნე ექიმი

(ჯანსახკომის საყურადღებოდ).

მიხეილის ქუჩაზე არის კბილის საავადმყოფო ამბულატორია. № 7, იქ მსახურობს ექიმი **კამალოვი**, რომელმაც ქართული ენა არ იცის, რის გამო მასთან მიმსვლელები განიცდიან უხერხულ მდგომარეობას.

მიზანშეწონილი და სამართლიანი იქნება, რომ იმის ადგილზე დაინიშნებოდეს ქართული ენის მცოდნე ექიმი.

კავშირის წევრი

კ. გ—ახვლედიანი.

ვაგონები მოუმატეთ.

(სხუბნო კავშირის საყურადღებოთ).

მეტად გაძნელებულია მატარებლების მიმოსვლა კახეთის რკ. გზაზე. 3-4 ვაგონზე მეტი აქეთკენ არ მიდის. ამათში ერთი საფოსტო, ერთი მოსამსახურეებისაა. მგზავრებისათვის რაღა რჩება.

საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

მუშკორი ი. ჯ.

პროვინციაში

გლეხობა ჩაბმულია კულტურულ მუშაობაში

სოფ. ონტოფო (სენაკის მაზრა)

ს. ონტოფოში არსებობს მთლიანი შრომის სკოლა, ქოხ. სამკითხველო, სადაც ბლომად მიდის სხვადასხვა გაზეთები, არსებობს აფთიაქი, გლეხკომი, რომელიც პირნათლად ემსახურება გლეხობას. ხალხმა გადაწყვიტა ააგოს ისეთი შენობა, სადაც მოთავსებული იქნება საფერშლო პუნქტი და მასთან კლუბიც. ამ მიზნის განხორციელებისათვის თავგამოდებით მუშაობს ონტოფოს გლეხობა. იმედი გვაქვს—ამ საქმეს მალე სისრულეში მოვიყვანთ. აღსანიშნავია ონტოფოს დაწინაურების საქმეში ამხ. ნ. საბაშვილის მოღვაწეობა.

ივანე უვანია.

გლეხკომის საქმე არ არის ვაჭრობა

ბახვის თემი (გურია)

1924 წლის ნოემბრის 17-დან ბახვის თემში საფუძველი ჩაეყარა გლეხკომის სავაჭროს. პირველ ხანებში ეს გლეხკომი ძალიან გულს უტეხდა გლეხებს, რადგან შიგ აღმოჩნდენ მრავალი პირები, რომლებიც თავისი ჯიბის გასქელებისათვის უფრო ზრუნავდენ, ვიდრე გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მაგრამ მცხოვრებლებმა დროზედ გაიგეს ყოველივე, ძველი გამგეობა გადააყენეს, და ახალი აირჩიეს, იანვრის რიცხვებში.

მაგრამ ეხლანდელი გლეხკომის გამგეობა უფრო ვაჭრობას ეტანება, ხოლო თავის პირდაპირ დანიშნულებას გვერდი უხვევია. გლეხკომი მასდაუნებურად ხელს უწყობს კოოპერაციის ვავლენის დაცემას, არსებითად გლეხკომი და კოოპერატივი ურთ-ერთის მოწინააღმდეგენი შეიქნენ.

არ გვაქვს თემში სამჭედლო, რომელიც გლეხობისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, არ არის არც სახარაზო და გლეხი იაფ ფასებში ვერ ყიდულობს წაღებს. საჭიროა ჩვენმა გლეხკომმა მიაქციოს ამას ყურადღება და დააკმაყოფილოს გლეხის პირველივე საჭიროებანი.

გრიგალი.

მადლობას უცხადებთ გაზეთების გამოწერისათვის

სოფ. ჯუნჯუათ-ეწერი (ოზურგეთის მაზრა)

სოფ. ჯუნჯუათ-ეწერის სამკითხველოს გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს ამხ. კოლა მშვიდობაძეს და ალისტრახო მშვიდობაძეს—პირველს გაზეთ „კომუნისტი“-ს გამოწერისათვის ექვსი თვით და მეორეს გაზეთ „მუშა“-სა და „ახალი სოფელი“-ს გამოწერისათვის.

სამკითხველოს გამგე აკაკი ბარამიძე.

გლეხობის ექსპლოატაცია დაუშვებელია

ს. კორცხელი (ზუგდიდის მაზ.)

ს. ლედგებიის თემში (ზუგდიდის მაზრა) სცხოვრობს გლეხი-კულაკი ექვთიმე მალანია, რომელსაც ჰქონდა გვარიანად მოზრდილი მამული, შესყიდული თავისი ღარიბი მეზობელ გლეხებისაგან. მან მთელი თავისი მიწა-წყალი შეინარჩუნა რაღაცნაირად, მიწის რეფორმამ მას არ უგრძვნია.

წრეულს მალანიამ მოიწვია თავისი მეზობლები—უმიწაწყლო გლეხები, შემდგარი ათი კაცისაგან, გაურიგდა მათ სანახევროდ მიწის დამუშავებაზე, დაურიგა თითოეულს იმდენი ქცევა, რამდენის დამუშავებაც შეეძლოთ. თვითონ არ მუშაობს, ხოლო ამ გლეხებს მალ-მალე უწევს კონტროლს ძველი მებატონესავით, თუ როგორ ამუშავებენ მიწას. ყველა ამბობს: „როგორ შეინარჩუნა ამდენი მიწა და თუ ამდენი მიწა კანონმა არგუნა, შეუძლია თუ არა მას გლეხების ასეთი ექსპლოატაციაო“. მართლაც, ერთი კაცის ეზოში, ათი უმიწაწყლო გლეხი, სანახევროდ მომუშავე, დაუშვებელია. ასეთ მოვლენებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. დაჩქარებით ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, ვისგანაც საჭირო არის.

ჩხოუშისპირელი.

პროვინციის ქრონიკა

— **ბანკი სენაკში.** სენაკში ახლო ხანში გაიხსნება თბილისის კომუნალური ბანკის განყოფილება.

— **სკოლის შეკეთება.** სოფ. ვანთში (თელავ. მაზრა) ადგილობრივი ალმასკომის თაოსნობით შეუდგენ სკოლის შენობის შეკეთებას.

— **სენაკის ალმასკომმა** გადასწყვიტა შეუდგეს ადგილობრივი მიკროსკოპიული სადგურის შეკეთებას.

— **სალხინოს** (სენ. მაზრა) თემის სოფ. შილდის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს სალხინოს თემიდან გამოწერისა და გაჭედილის თემზე მიწერის შესახებ.

— **ავტომობილებით მიმოსვლა.** გადაწყვეტილია ქუთაის-ონს შორის (რაჭა-ლეჩხუმზე) მოეწყოს ყოველდღიურათ საავტომობილო მიმოსვლა.

— **კინო სოფლად.** ქუთაისის ალმასკომმა მაზრაში მოაწყო მოძრავი კინო, უმთავრესად გლეხებს უფასოდ აჩვენებდენ სახ. კინომრეწველობის მიერ დამზადებულ სურათებს

იურიდიული რჩევა-დახმარება

მაქვს თუ არა უფლება მიწის ნახევარ ნორმის მიღების

კითხვა

მე მქონდა ჩემი შრომით შეძენილი 1913 წელში სახნავ-სათიბი თელავის მაზრის იყალთოს თემში სახელდობრ „აპიდასტური“ ზომით 17 ნახევარი დესეტინა. წარსულ 1924 წლ. იანვრის 10-ში იყალთოს მიწის კომიტეტმა ხსენებული მიწა ჩამომართვა მთლიანად იმ მოსაზრებით, რომ ნაჩვენები მიწები დაერიგებინიათ მიწის არა მქონე მოსახლეებისათვის; პირადათ მე მომცეს ერთი დესეტინა სოფელში; ვენახი 1200 კვ. საჟ. და სახნავიც ნახევარი დესეტინა, რაზედაც შეყენებულ იქნა კანონიერი აქტი № 3, 10 იანვარი 1924 წ., რომლის ასლი გადაეგზავნა სამაზრო საადგილმამულო განყოფილებას 22 მარტს, 1924 წ. № 563, დასამტკიცებლად.

სამაზრო კოლეგიამ განიხილა გადაგზავნილი აქტი და დაადგინა, რომ მომცემოდა ნახევარი ნორმა, ე. ი. ორი დესეტინა, როგორც საბჭოთა მოსამსახურეს და სამაზრო კოლლეგიამ თავისი დადგენილების ასლი გადაუგზავნა იყალთოს რაიაღმასკომს 21 აპრილს, 1924 წ. № 2260-ით, რომლის შინაარსი მე გამომიცხადეს და ხსენებული მიწის ნაკვეთებიც ჩამაბარეს; ამ გვარად მთელი ჩემი მამული შეადგენდა ორ დესეტინას.

1924 წ. სექტემბერში მე გადმოვედი სამსახურში ქალ. თბილისში რკ. გზის და ტვირთვა-გადმოტვირთვის ბიუროში, სადაც ვმუშაობ დღესაც. 1924 წ. დეკემბერში სოფლის მიწის კომიტეტს ჩამოურთმევია ჩემთვის ზემონაჩვენები მიწის ნაკვეთები იმ მოსაზრებით, რომ მე ვიმყოფები სამსახურში, მიუხედავათ იმისა, რომ მე ვამუშავებდი ჩემს მამულს და ჩამორთმევის დროს მამული იყო მთლად დამუშავებული; მყავს სარჩენი ოთხი სული, შრომის უნარმოკლებული.

გთხოვთ განმარტებას: მაქვს თუ არა უფლება როგორც მოსამსახურეს რკინის გზის დარგში, მქონდეს მიწის ნახევარი ნორმა და კანონიერია თუ არა მიწის კომიტეტთან შეთანხმებით მიწის გაცვლა, როგორ მოვიქცე, რომ დავიბრუნო ჩამორთმეული მამული.

რკ. გზის მუშა **ლავროსი ჩხიკვაძე.**

პასუხი

მიწის ნახევარი ნორმა ეძლევათ ქალაქში მომუშავე მხოლოდ ფიზიკურ მუშებს, რომლებიც ეწევიან წარმოებით შრომას სახელმწიფო და კერძო საწარმოში და დაწესებულებაში,—მოსამსახურეთ კი, (თუ ეს უკანასკნელნი მსახურობენ ქალაქში) არავითარი ნორმა არ ეძლევათ. (იხ. მიწის კოდექსი მუხ. 67).

მიწის ნახევარი ნორმა თქვენ მოგეცემათ თქვენი მამულიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ეწევით ფიზიკურ და არა გონებრივ მუშაობას (ე. ი. ხართ ქალაქში მუშად).

მიწის გაცვლა-გამოცვლა მიწის დაქუცმაცების ასაცილებლად დასაშვებია; მხოლოდ ეს გაცვლა-გამოცვლა უნდა ხდებოდეს ადგილობრივ სამაზრო სადგილ-მამულო განყოფილების ან მიწისმზომელის თანხმობით (იხ. მიწის კოდ. მუხ. 147).

თუ კი აღნიშნულ ფარგლებში თქვენი უფლება დარღვეულია, თქვენ შეგიძლიათ აღადგინოთ იგი სახალხო სასამართლოს წესით (იხ. მიწ. კოდექ. მუხ. 24).

საქვეყნოების მოქმედებანი და განკარგულებანი

სავალდებულო დადგენილება № 10.

ს. ს. რესპუბლიკის შ. ს. ს. კომისარიატისა.

გასართობ ადგილებში შესასვლელ ბილეთების, ნიშნების, სურათების და სხვათა ხელზე გაყიდვის აკრძალვის შესახებ

ვინაიდან უკანასკნელ დროს ძლიერ გახშირდა ნებადაურთველად სხვადასხვა გასართობ ადგილებში შესასვლელი ბილეთების სურათების და სხვათა ხელზე გაყიდვა, შინაგან საქმეთა კომისარიატი ადგენს:

1. აიკრძალოს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე თეატრების, კონცერტების, კინოს, დოღის და სხვა გასართობ ადგილებში შესასვლელი ბილეთების და აგრეთვე ნიშნების, რევოლუციის ხელმძღვანელთა სურათების, ლიტერატურის, მოგებიან ქაღალდების და სხვა ხელზე გაყიდვა სათანადო ნებადაურთველად.

2. ნებართვა შეუძლიან გასცენ:

ა) ადგილობრივ მაზრა-ქალაქის აღმასკომებმა,—როგორც თავიანთ მაზრა-ქალაქის ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, ისე სხვა მაზრების და ქალაქების ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, თუ კი უკანასკნელნი მოისურვებენ ბილეთების და სხვა გაყიდვას თავიანთ მაზრის და ქალაქის ფარგლებში;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ განყოფილებამ—მოკავშირე რესპუბლიკების ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, თუ კი უკანასკნელნი მოისურვებენ ბილეთების და სხვა გაყიდვას საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ან რომელიმე მაზრის, ან ქალაქის ფარგლებში და აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციებს და დაწესებულებებს მთელი რესპუბლიკის ტერიტორიის ან რამდენიმე მაზრის ფარგლებში ბილეთების და სხვა გასავრცელებლად;

გ) საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკების კომისარიატებმა—ორგანიზაციებს და დაწესებულებებს ამა ერთეულების ფარგლებში ბილეთების და სხვა გასავრცელებლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მაზრის და ქალაქის აღმასკომებიდან აღნიშნულ ნებართვის მისაღებად ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა უნდა წარადგინონ თავიანთი დაწესებულებების მიერ გაცემული მოწმობები, იმის შესახებ, რომ ბილეთები და სხვა გაიყიდება უეჭველად დასახელებულ მაზრის ან ქალაქის ფარგლებში და არა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

3. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დასჯილნი იქნებიან ან ჯარიმით 100 მანეთამდის ან დაპატიმრებით ორ თვემდის.

4. ამა სავალდებულო დადგენილების დამრღვევთა აღნიშნულ სასჯელის დადების უფლება ენიჭებათ: ქალაქ თბილისში და მის მაზრაში ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმს, მაზრაში კი მაზრა-აღმასკომების პრეზიდიუმებს.

5. საქართველოს ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1924 წ. მაისის 7-ის № 4139 სავალდებულო დადგენილება ბილეთების გაყიდვის შესახებ გაუქმებულად ჩაითვალოს.

6. ესე სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
შ. მათიკაშვილი.

ადმინისტრატიული განყოფ. უფროსი
ა. ბუჯიაშვილი.

1925 წ. აპრილის 28.
ქ. ტფილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება: დღეს, 23 მაისს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება ქართულ და რუსულ სააგიტ.-საპროპ. წრის მეცადინეობა.

დასწრება სავალდებულოა ქალთა ყველა ორგანიზატორებისთვის.

— არსრაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. მიხეილ კუპრავას ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს რაიკომის აღმრიცხ.-სტატისტ. განყოფილებაში.

მდივნის მაგიერ—**წ ი თ ლ ი ძ ე.**

— თ. კ აღმრიცხ.-გამნაწ. განყოფილება წინადადებას იძლევა, დღეს, 23 მაისს, დღის 2 საათზე, გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: კაჭაროვი გრიგოლ, ტაროიანი კარაპეტ, შახნაზაროვი აშოტ, ავანესოვი ალექსანდრე, სარუხანოვი ჰაიკ, ჩებანოვი არამ, დ რჩიევი ბარტანუ, ბაღდასაროვი ბენ., ავეტიქიან ბორის, სოლოვიან გურგენ, დოშოიანცი ვართან.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული მეუღლე იულია არისტოს ასული ბერიძე, შვილები მუნირა და რეზო, დედა მაგდანი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებთ, რომ მათი დაუვიწყარი

სიმონ (სიმონიკა) ბერიძის

ერთი წლის თავის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 24 მაისს, დღის 1 საათზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1431. 2—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები მარია ალექსის ასული და ნოე იოსების ძე რამიშვილები შვილებით—თამარ, ვანო და გივი,—ვაუწყებთ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ კვირას, მაისის 24, შუადღის 1 საათზე ვერის (ნიკოლოზის) სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 40 დღის შესრულების გამო ჩვენთვის დაუვიწყარი და საყვარელი შვილის მე-8-ე შრომის სკოლის მოწაფის

მერი (ცუციკო) ნოეს-ასული რამიშვილის

1430. 2—1

კვირას, 24 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

ივანე დავითის ძის სოზიაშვილის

გარდაცვალების 40 დღის აღსანიშნავად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს: მეუღლე—მარიამი, დედა და ძმები—სოზიაშვილები, და ქმრითა და შვილებით—ბარნოვები, დეიდა და სიძე ნათაძენი, ბიძა და ძალუა—კასრაძენი და სიმამრის შვილი მაისურაძე.

1420. 1—1

ესტატე და მიხეილ მატათიას-ძენი მირიანაშვილები მეუღლეებითურთ, ბარბარე კონსტანტინეს ასულით და ანა ფარსადანის ასულით, ანა კიკნაძისა, ელისაბედ მიქელაძისა და ბარბარე ელიზბარიშვილისა ქმრებით და შვილებით, შვილისშვილები დავით, შალვა, გიგა და მატუ მირიანაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, 24 მაისს, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასს

დეკანოზ მატათია მირიანაშვილის

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდი დაიწყება სრულ პირველ საათზე.

1423. 1—1

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

გამოვიდა წიგნი ი. მ. გალპერინის

„საფუძველი ბალანსმეტყველებისა“

(საერთო საფუძვლები აღრიცხვის უახლეს თეორიისა)

ფასი 1 მ. 25 კ. გადაგზავნით 1 მ. 50 კ.

გამომცემლობის საწყობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა (ყოფილი ოლღას ქუჩა) № 14, ზინოვიევის სახელობის პრაქტიკული საანგარიშო ინსტიტუტი. (ვ. პ. უ.)

ამას გარდა წიგნების შეძენა შეიძლება შემდეგ მაღაზიებში: 1) დუმჩენკო (პლეხანოვის პროსპექტი, კირკის ახლოს), 2) სტუდენტთა კოოპერატივი (რუსთაველის პროსპექტი, გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს კანტორის ქვეშ) და 3) სხვა მაღაზიებშიც.

ნ. 1184. 5—3

გარე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

კ. ოდიშარია ამით აცხადებს, რომ ა. წ. 31 მაისს, დღის 11 საათზე ს. ყარათაფაში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ჯალილ სოიუნ-ოღლის ქონებისა: ორი სამოვარი, შეფასებული 10 მ., ერთი ურემი—შეფას. 60 მ. და ერთა ხარი შეფას. 30 მან. ალი იმან ოღლის და სხვ. სასარგებლოთ

№ 1425 1—1

პოლიტ. განათ. მთავარი სამმართველო

(წიგნებისა და საკან. ნივთ. განყოფილება)

შრომის სკოლებისა, პოლიტ-წრეებისა, მუშფაკებისა და პარტიულ სკოლების საყურადღებოდ.

დაიბეჭდა ქართულ ენაზე და გამოვიდა გ სასყიდათ

ა. ტიუმენევის ცნობილი სახელმძღვანელო

„შრომის ისტორია“

(პოლიტიკური ეკონომია)

ფასი 1 მან. 20 კაპ.

ბითუმათ შემსყიდველებს დაეთმობათ განსაზღვრული პროცენტები

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოდის ქართ. ენაზე

ბერდიკოვის და სვეტლოვის ცნობილი

„პოლიტცოდნის კურსი“

ვინაიდან ზემოხსენებული წიგნი იბეჭდება განსაზღვრული რაოდენობით, საჭიროა მსურველებმა ამ თავითვე დაიკვეთონ შემდეგი მისამართით: რუსთაველის პრ. № 22.

ზემოხსენებული წიგნების შეძენა შეიძლება პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის შემდეგ მაღაზიებში:

№ 1. რუსთაველის პრ. № 22.
№ 2. სადგურის და გოგოლის ქ. კუთხე.
№ 3. ვოლოდარსკის ქ. გლეხის სასახლის ქვეშ.
№ 4. პლეხანოვის ქ. № 101.
სენაკში—სენაკის განყოფილებაში.

სავაჭრო განყოფ. გამგე ა. ლორთქიფანიძე.

ნ. 1175 5—4

ელექტრონით და სინათლით

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ერვიულ და აგრეთვე ინ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—22

ე ქ ი მ ი

ი. დ. თოფურიძე

უჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

ილებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—6

ე ქ ი მ ი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვავე და ქრონიკური ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე. ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

428 25—25.

ე ქ ი მ ი

გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ.

სიფილისი (606—914)

მიღება:
კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ.
ქალების 6—7 ს. საღ.

მოსკოვის ქ. № 4.

25—1 № 1432

ა. მ. მძინარაშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 შესავალი კრუზენშტეინის ქუჩიდან.

25—25

სრულიად საქართველოს ექიმთა სამეცნიერო მე-3 კონგრესი

გაიხსნება ა | წ. 24 მაისს სრულ 11 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობაში.

ჩვეულებრივი კრებები კი გაიმართება საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (კალოუბნის ქ. № 1).

ყრილობა გასტანს 29 მაისამდე. შესვლა საწევრო ბილეთებით. პროვინციიდან ჩამოსულ ექიმებისათვის მუშათა სასახლეში მოწყობილი იქნება უფასო ბინა. კონგრესის გახსნამდე ჩამოსულმა ექიმებმა ბინისათვის უნდა მიმართონ რკინის-გზის საავადმყოფოს მორიგ ექიმს (ანდრეევის ქ. № 101).

1179 3—3

კვირას, ა | წ. მაისის 24, დილის 10 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნება

მონადირეთა კავშირის თბილისის განყოფილების წევრთა წლიური მორიგი

საერთო კრება

1434 1—1

ქ. თბილისის მეორე რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი

ლ. სვეტადუხოვი ამით აცხადებს, რომ 27 მაისს, დღის 1 საათზე, ბნელი რიგი № 4121 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მოქ. თადეოზ მიხაილოვის კუთვნილ სხვადასხვა წვრილმან საქონლისა, შეფასებული 214 მან. და 40 კაპ.

ამავე დღეს, სოლომონის ქ. № 8 დანიშნულია ვაჭრობა მოქ. მიქაძისა და ნოდიას 86 მანეთის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა № 1662.

1—1. 1424.

ამხ. „ყურედიდი“-ს გამგეობის

ა | წ. 13 მაისის დადგენილებით

ამა წლის 16 [illegible]

ლიკვიდაცია ამხ. „ყურედიდი“-ს

ყველა დაწესებულებათ, ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზიები ამხ. „ყურედიდი“-ს მიმართ, წინადადება ეძლევათ ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების დაბეჭვდისა წარუდგინონ ასეთი საზოგადოების სალიკვიდაციო კომისიას.

პრეტენზიები, რომელნიც არ იქნება განცხადებული ამ ვადის განმავლობაში დაკმაყოფილებული არ იქნებიან.

სალიკვიდაციო კომისიის მისამართი: **ქ. ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 1 (ყოფ. სერგიევის) ამხ. „ყურედიდი“-ს სალიკვიდაციო კომისიას.**

1—1 1202 გ ა მ გ ე ო ბ ა.

თბილისის აღმასკომის სამნეო ქ | განყოფილება აცხადებს, რომ პარასკევს, 29 მაისს, დილის 10 საათზე აღმასკომის დარბაზში ოთახი № 10 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

2000 კუბ. საჟ. შეშის დამზადებაზე.

წინადადებები მიიღება დაბეჭდილ კონვერტებში ოთახი № 25; აქვე მიიღება პირობები შეშის დამზადების შესახებ.

ნ. № 1204—3—1 სამნეო ქ | განყოფილება

რადგან მოსავალს კარგი პირი უჩანს,

„ხლებოპროდუქტ“-მა

დაუკლო ფასები ყველა ხარისხის

ფ ქ ვ ი ლ ზ ე

და გაუქმებულია კერძო პირებზე ფქვილის გაყიდვის ყოველგვარი შეზღუდვა.

1—1 ნ. 1201

სრულიად საკავშირო

სამისამართო ცნობარი

იმის გამო, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოსული ცნობარი სრულიად საკავშირო ხასიათისა არ შეეფერება თავის დანიშნულებას როგორც მასალების სიმცირისა და დაძველების, მათი უხეიხულათ და არარაციონალურათ დალაგებისა და ამ ცნობარის ამოცანებისადმი ვიწრო-უწყებრივი მიდგომის გამო.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაავალა თავის გამომცემლობას გამოუშვას

ოფიციალური ცნობარი—„საბჭოთა კავშირის ცნობარი და სამისამართო წიგნი“

1926 წლისათვის

ამ ცნობარში ადმინისტრატიული ხასიათის უკანასკნელ ცნობებთან ერთად მოცემული იქნება მთელი კავშირის და მის შემადგენლობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკების სამეურნეო ცხოვრების სრული სურათი.

ცნობარი დაყოფილია რვა ნაწილათ, რომელთაგან უკანასკნელი ექვსი (მოკავშირე რესპუბლიკების რაოდენობის მიხედვით) იძლევა თვითეული ამ რესპუბლიკის სრულიად დამთავრებულ სურათს და ოფიციალურად შემოწმებულ ცნობების მაქსიმალურ რაოდენობას.

განცხადებების შეგროვება დავალებული აქვს სახელმწიფო კანტორა

„დვიგატელს“

მოსკოვი, ტვერის ქ. № 42. თბილისი, რუსთაველის პრ., 10 ტელ. 13—45. ბაქო, ბრუნდი ქ. № 7. ბათომი, ტროცკის ქ. № 9. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამომცემლობა.

ნ. 1197. 3—2

კურორტთა მთავარი სამმართველო

ამითაცხადებს, რომ 29 მაისს დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

აბასთუმანის, ბორჯომის და წაღვერის სავაჭრო შენობათა და მოწყობილობის იჯარით გაცემის შესახებ, რომელიც იყო გამოცხადებული (15 მაისს) გაზეთ „კომუნისტ“-ში № 109; შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება კურორტთა მთავარ სამმართველოში—მესანგრეთა ქუჩა (საპერნი) 30, ოთახი № 22.

5—1 ნ. № 1205

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1925 წლის 24 მაისიდან კვირაობით და უქმე დღეებში

ექსკურსიების გასამგზავრებლად

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურში თბილისიდან მცხეთამდე და მცხეთიდან თბილისამდე დანიშნული იქნება ოთხი დამატებითი სამგზავრო მატარებელი №№ 50, 51, 52 და 53, რომლებიც ივლიან შემდეგი ცხრილის მიხედვით:

თბილისიდან გადის მატ. № 50 დილ. 6 ს. 50 წ.
„ „ მატ. № 52 დღის 15 „ 40 „
მცხეთიდან მოდის მატ. № 51 დილის 9 ს. 00 წ.
„ „ მატ. № 53 დღის 17 „ 50 „

ამას გარდა 30 მაისიდან დანიშნული იქნება კვირაში ორჯერ სამგზავრო მატარებლები №№ 60 და 61 თბილისიდან კარაკლისამდი და უკანვე; მატარებლები თბილისიდან და კარაკლისიდან გადის შაბათობით, უქმეების წინა დღეებში, უქმე დღეებში და კვირაობით შემდეგი ცხრილის მიხედვით:

მატ. № 61 თბილისიდან გადის 18 ს. 45 წ.
მატ. № 60 კარაკლისიდან გამოდის 23 ს. 30 წ.

საათები ნაჩვენებია მოსკოვის დროის მიხედვით, რომელიც ადგილობრივ დროს ჩამორჩება ერთი საათით.

ნ. 1200. 2—2.

ე ქ ი მ ი

მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ლეონის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ.

ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.

ნ. 1346 25—6.

ე ქ ი მ ი

მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—17

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი თუხარელის

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა. ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—6

ე ქ ი მ ი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38. 25—8

ე ქ ი მ ი

ნ. ა. ჭანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202

25—16

დაკარგე პირადობის მოწმობა № 541 მოცემული გორის მაზრის მილიციის უფროსისაგან ვასილ გიორგის ძე გურასპაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

1429 1—1

დაკარგე სამხედრო რეგისტრაციის პირადობის მოწმობა 1-ელ სამილიციო კომისარიატიდან ნიკო იაკობის ძის კაპანაძეს სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1421 1—1

დაკარგე საწევრო წიგნაკი № 2123 მოცემული ქართურის სამთომადნო პროფკავშირიდან გრიგოლ ივანეს ძე ვასელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1422 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა, ერკოოპის წიგნაკი და მოწაფეობის წიგნაკი № 6 ილია მიხეილის ძე მანაშეროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1419 1—1

დაკარგე მიწტყის პროფკავშირის წიგნაკი № 684 [illegible] გიგოს ძე კუბლაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1433 1—1

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი მიღებული „მზარ“-[illegible] მიხეილ კონსტანტინეს ძე ეგაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

1427 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სენაკის აღმასკომიდან ნინო ჩაჩიბაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1426 1—1

დაკარგე დაზღვევის წიგნაკი ირაკლი ბოჭორიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1428 1—1

ტირაჟი — **20.523**

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საზ წულუკიძის ქ. № 4